

**თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი**

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

76-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2017 წლის 19-21 დეკემბერი

**თბილისი
2017**

სამეცნიერო სესია გაიმართება თსუ არნ. ჩიქობავას სა-
ხელობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარ-
ბაზში** (ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 15 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ავთანდილ არაბული**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

19 დეკემბერი, სამშაბათი

11 ს ა ა თ ი

პრეზენტაცია ოთხტომეულისა „ახალი ქართული ენა“ – იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი – ***უ** ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ და დადესტნურ ენებში

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე – ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა და ზმნისართის გამიჯვნისათვის ქართულში

გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა – პოეტური ირონიის სემიოტიკა

რ. ლ ო ლ უ ა – კავკასიის ალბანეთის მთავარეპისკოპოსთა სახელდებისა და ქრონოლოგიისათვის (IV-VI სს.)

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი – ლინგვისტურ ცნება-ტერმინთა „აქტი“ – „ევიდენციალობა“ ურთიერთმიმართებისათვის

ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – აფხაზური -**შა** სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში

ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა – მეგრული **დიდა** როგორც შორისდებული და მისი ფონეტიკური ვარიანტები

ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ყაბარდოული ფონემების ქართულად გადმოცემის შესახებ

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – კვლავ „ცოდნის“ სემანტიკური ნიუანსებისა და ფონემათშესატყვისობისათვის ქართველურ ენებში (ემღვნება პროფესორ ილია ცერცვაძის დაბადების 100 წლისთავს)

მ. ჩ უ ხ უ ა – ხათური ინსტრუმენტალისის შესატყვისობებისათვის ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში

ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ზოგი ნასესხობის ფონეტიკური ცვლილებებით განპირობებული ომონიმის შესახებ

20 დეკემბერი, ოთხშაბათი

11 ს ა ა თ ი

დ. ან ფ ი მ ი ა დ ი – ანოტირების პროცესი ერთი ლექსის თარგმანის პარალელურ კორპუსში

ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე – ფერეიდნული საკითხი და საბჭოთა პოლიტიკის კულისები

მ. ბ ე რ ი ძ ე, ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, ნ. ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი – იური მარი – ფერეიდნულის მკვლევარი

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – ზოგი კავშირის გამოყენებისათვის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში

ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე – სიბილანტთა შესატყვისობანი საერთო-ქართველურ და ბურჟუაზულ ენებს შორის

ვ. მ ა ღ რ ა ძ ე – ორმაგთანხმოვნიანი უცხოური სახელები ქართულად

ს. ო მ ი ა ძ ე – „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით

თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – „ი“ და „ე“ ხმოვანფუძიანი რამდენიმე საზოგადო სახელის მართლწერისათვის

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – ანლაუტში ბგერის დაკარგვის შემთხვევები ჩეჩნურსა და ქართულში

ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი – შორისდებულები ჩოლურულ მეტყველებაში (სვანურის დიალექტებთან მიმართებით)

ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ვარგან- // არღან- // ორგან- // ორღან- // ორღანო სიტყვების ურთიერთმიმართებისათვის

21 დეკემბერი, ხუთშაბათი

11 ს ა ა თ ი

ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი – **ბV**- ანლაუტიან CVC ტიპის ზმნურ ფუძეთა დიაქრონიული ანალიზისათვის უდიურში

გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე – გერმანული ტოპონიმები საქართველოში

გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – აწმყოს პარადიგმაში საყრდენი ფუძის მონაცვლეობისათვის ზემოიშვრულ კილოკავში

ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – მოთხრობითი ბრუნვის გამოხატვის საშუალებები ხათურში

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – **ენ**-ზე ფუძედაბოლოებული რამდენიმე სახელის მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ნ. ს ა ა კ ა ძ ე – პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები ქვემოქართლურში

ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა – „ზურგის“ აღმნიშვნელი ლექსემის შემცველ აფხაზურ და ქართველურ იდიომთა შედარებითი ანალიზი

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – „ხევსურული საგა“ – „ლექსად გარდათქმის“ ხელოვნების საგანგებო ნიმუში

ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა-მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – რა უნდა ყოფილიყო პურის უძველესი ქართული სახელი (საკითხის დასმის წესით)

ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – კომპიუტერული ნეოლოგიზმების ორთოგრაფიისათვის თანამედროვე ქართულში

ა. ა რ ა ბ უ ლ ი – **ავ** სუფიქსის დერივაციული სტატუსისათვის ქართულში

ანოტირების პროცესი ერთი ლექსის თარგმანის პარალელურ კორპუსში

ერთი ლექსის თარგმანის პარალელურ კორპუსში განთავსდება მსოფლიო პოეტური შედეგების ქართული თარგმანები. კორპუსის ექსკლუზივი იმაში მდგომარეობს, რომ ერთიან კორპუსულ სივრცეში თავს მოიყრის ერთი ლექსის ყველა თარგმანი – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მთარგმნელის მიერ სხვადასხვაგვარი ტექნიკით შესრულებული.

კორპუსის ანოტირება რამდენიმე საფეხურს მოიცავს. მორფოლოგიური ანოტირება ტოკენებს გრამატიკული ფუნქციების მიხედვით მონიშნავს, რაც პარალელური კორპუსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთი მორფოლოგიური ერთეული შეიძლება სხვა ერთეულის საშუალებით ითარგმნოს ან სულაც რამდენიმე ერთეული შეესაბამებოდეს. ამ ყველაფრის სტრუქტურული სახით წარმოდგენა განსაკუთრებით გააადვილებს მხატვრული თარგმანის ლინგვისტური შესწავლის პროცესს, შექმნის გარკვეულ პარადიგმას და გამოაჩენს უფრო მოხერხებული თარგმანის შესაძლებლობას. კორპუსის მორფოლოგიური ანოტირება წარმართება ავტომატურად – გამოვიყენებთ ქართული სალიტერატურო ენის ანალიზატორს Geo Trans-ს. ომონიმის მოხსნა ნახევრადავტომატური იქნება, რადგან ანალიზატორი თავად ქმნის მოსალოდნელი ომონიმის მქონე სიტყვათა სიებს. შეიქმნება ლემატიზაციის შემოწმებისა და ომონიმის მოხსნის პროგრამული ინსტრუმენტები (Tools), რომელთა საშუალებითაც მოხდება კონტექსტურ რეალიზაციებთან მიმართებით ომონიმური მნიშვნელობების დადგენა – ომონიმის დაძლევა.

ტროპის სხვადასხვა სახეების ანოტირება განსხვავებულ სამუშაოს მოიცავს. ზოგიერთი მათგანის მონიშვნა უფრო მარტივია, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მარკერიდან გამომდინარე, ზოგიერთისა კი – რთული და კარგად გააზრებული გამოსავლის მოძებნას მოითხოვს.

1. შედარება: ავტომატური ანოტირების პროცესში პოეტური შედარების ასახვა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პროცესია. გამომდინარე იქიდან, რომ პოეტური შედარება, როგორც წესი, მორფოლოგიური მარკერით გაფორმებულია, შეგვიძლია შევქმნათ ფორმულები, რომელთა საშუალებითაც პროგრამა ამოიცნობს პოეტურ შედარებას ტექსტში; მაგალითისთვის, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ბოლოვდება „ვით“ თანდებულით, „ვით“ ცალკე მდგომი თანდებული სიმცველი სინტაგმაა, „როგორც“, „ვითარცას“, „მსგავსის“ შემცველი სინტაქსური წყვილი.
2. ეპითეტის ავტომატური მონიშვნისათვისაც შესაძლებელია გარკვეული წესებისა და კომბინაციების შემუშავება: მაგალითად, შემდეგი ტიპის კოლოკაციები – ზედსართავისა და არსებითი სახელის სინტაგმა პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობით, მიმღობისა და არსებითი სახელის პოსტპოზიციური თუ პრეპოზიციური წყვილი და სხვ.
3. ავტომატურად მონიშნება პოეტური გამეორება, რისი საშუალებითაც მარტივად ვიპოვით ერთი და იმავე სიტყვასა თუ ფრაზას სტრიქონსა თუ სტროფში.

ქართული კორპუსული გამოცდილებისათვის ერთგვარ ექსკლუზივს წარმოადგენს სემიოტიკური ანოტირების ეტაპი, როდესაც ტოკენს მიენიჭება მარკერი იმის მიხედვით, თუ როგორი ურთიერთმიმართებაა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის სიტყვაში. მაგალითისთვის, ძირითადად პოეტური შედარება ხატს წარმოადგენს, იშვიათ შემთხვევაში – ინდექსს, მაშინ, როდესაც მეტაფორა ძირითადად სიმბოლოა. ამდენად, ერთი, სემიოტიკური ანოტირების შედეგად ჩვენ შევძლებთ დავაკვირდეთ როგორ იცვლის სემიოტიკურ ბუნებას, გნებავთ, სემიოტიკურ არსს პოეტური ნიშანი მხატვრული თარგმანისას, როგორი სისტემური ცვლილებები არსებობს და ამ ცვლილებების მიზეზის დადგენასაც შევძლებთ. სპეციალურ რედაქტორში შესაძლებელი იქნება სემიოტიკურ ერთეულთა მონიშვნა სპეციალურად შერჩეული მარკერებით. ასეთი ანოტირების პროცესში შექმნილი სიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი პოეტური ტექსტების ავტომატური სემიოტიკური ანოტირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

„ერთი ლექსის თარგმანის პარალელური კორპუსი“ ქართულ ენათმეცნიერებასა და თარგმანმცოდნეობაში კვლევის ახალ პერსპექტივებს გააჩენს, გარდა ამისა, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთათვის.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი

-ავ სუფიქსის დერივაციული სტატუსისათვის ქართულში

მიმდებარის კონფიქსური წარმოების რანგობრივ სტრუქტურაში -ავ სუფიქსი, როგორც წესი, იკავებს სხვა თემატურ სუფიქსთან ანალოგიურ პოზიციას; შდრ.:

ა-შენ-ებ-ს:	მ[ა]-შენ-ი	ნა-შენ-ი	უ-შენ-ი
	მა-შენ-ებ-ი	ნა-შენ-ებ-ი	უ-შენ-ებ-ი
	მა-შენ-ებ-ელ-ი	ნა-შენ-ებ-ელ-ი	უ-შენ-ებ-ელ-ი

კერ-ავ-ს:	[შე]-მ-კერ-ი	[შე]-სა-კერ-ი	[შე]-უ-კერ-ი
	[შე]-მ-კერ-ავ-ი	[შე]-სა-კერ-ავ-ი	[შე]-უ-კერ-ავ-ი
	[შე]-მ-კერ-ვ-ელ-ი	[შე]-სა-კერ-ვ-ელ-ი	[შე]-უ-კერ-ვ-ელ-ი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შეიძლება ზოგი ფორმა დოკუმენტურად რეალიზებული არ იყოს, მაგრამ ეს სისტემურ სურათს არ ცვლის.

მაგრამ წარმოდგენილი ვითარება იცვლება, როდესაც -ავ სუფიქსი მეორეული ფუძის მაწარმოებელია:

ი-ხვეჭ-ს:	მო-მ-ხვეჭ-ი	მო-სა-ხვეჭ-ი	მო-უ-ხვეჭ-ი
	მო-მ-ხვეჭ-ავ-ი	მო-სა-ხვეჭ-ავ-ი	მო-უ-ხვეჭ-ავ-ი
	მო-მ-ხვეჭ-ელ-ი	მო-სა-ხვეჭ-ელ-ი	მო-უ-ხვეჭ-ელ-ი

ამ შემთხვევაში, როგორც პარადიგმა წარმოაჩენს, **-ავ** სუფიქსს უკავია არა თემატური სუფიქსის, არამედ დერივაციული **-ელ** სუფიქსის რანგობრივი პოზიცია.

ბუნებრივია, მიმდევობაში **-ავ** სუფიქსის გამოვლენის მაპროვოცირებელია ათემატურ ზმნათა გადასვლა **-ავ** თემისნიშნიან წარმოებაზე (ი-**ხვექ-ავ**-ს, ი-**ხერთყ-ავ**-ს...), მაგრამ ფაქტია, რომ ეს **-ავ** ნაზმნარ სახელთა სისტემაში სადერივაციო სუფიქსის რანგობრივ პოზიციას იკავებს.

უთუოდ აქ არის საფუძველი იმისა, რომ მიმდევობის კონფიქსურ სტრუქტურაში **-ავ** სუფიქსი მაშინაც დაჩნდება, როდესაც შესაბამისი ზმნა თემატურ წარმოებაზე აღნიშნულ გადასვლას არ გამოავლენს; მაგ.:

თვლემ-ს – მ-თვლემ-**ავ**-ი

სვლეპ-ს – სა-სვლეპ-**ავ**-ი

ფშვნეტ-ს – და-უ-ფშვნეტ-**ავ**-ი

-ავ სუფიქსის ამგვარ პოზიციას, როგორც ჩანს, მხოლოდ „პარადიგმის გასწორების“ თუ „ანალოგიის“ ტენდენციას ვერ მივაწერთ. ამისი დასტურია ნაზმნარ სახელთა წარმოების უძველესი მონაცემები. მაგ.: **მო-კულდ-ავ-ი...**

ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი

***უ ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ და დადესტნურ ენებში**

1. უკანა რიგის ლაბიალური **უ**-ს რეკონსტრუქციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი მას სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებულად მიიჩნევენ და მეორეულ ხმოვნად თვლიან [იმნაიშვილი 1963: 41; ლომთაძე 1994: 295...], სხვანი კი ვარაუდობენ **უ**-ს არსებობას საერთო-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე [ბოკარევი 1959: 253-254; 1981: 34-35; იბრაჰიმოვი და სხვ. 1971: 28; ჩიქობავა 1979: 49; აკიევი 1982: 110-111...]

2. ფუძენახურში აღდგენილი *უ უპირატესად ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, თუმცა შეინიშნება განსხვავებული რეფლექსებიც, რომლებიც სხვადასხვაგვარი კომბინაციური პროცესების ჩარევის შედეგია: *უ > უ, უ (ჩეჩნ.), ი, ა (ინგ.). ცალკეული ტრანსფორმაციების (ბეჟ. *უ > ი, დარგ. *უ > ა, უდ. *უ > ი) მიუხედავად, შესატყვისობის ფორმულა, რომელზე დაყრდნობითაც დადესტნურ ფუძეენაში შესაძლებლად გვესახება უ-ს რეკონსტრუქცია, ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი.

3. ნახურ და დადესტნურ ენათა მონაცემების საფუძველზე შეიძლება გარკვეული ალბათობით *უ აღდგენილ იქნეს საერთო-ნახურ-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზეც. ისტორიულად ე. წ. ნახევარხმოვანი უ, რომელიც კლასის ექსპონენტის ფუნქციასაც ასრულებდა, სონანტს წარმოადგენდა და მას ალოფონად უ მოეპოვებოდა. ამგვარი უ-ს არსებობაც უნდა ვივარაუდოთ ნახურ-დადესტნურ ფუძეენაში.

შესატყვისობის საერთო სავარაუდო ფორმულა, რომლის საფუძველზეც ხდება *უ-ს პოსტულირება, ასეთ სახეს მიიღებს:

აღდგ.	ჩეჩნ.	ხუნძ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარშ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	არჩ.	თაბ.	უდ.
*უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ/ო	უ	უ/ა	უ	უ/ო	უ	უ/ო

1) ჩეჩნ. : ინგ. : ბაცბ. კურ ~ ხუნძ. კუდ, კუ ~ ანდ. კოდ : კარ. : ტინდ. კუნდ ~ დიდ. : ხვარშ. გუტ : ჰინ. ქუტი : ბეჟ. გოტ ~ დარგ. ქავ, გავ, კავ : ლაკ. პურკუ ~ ლეზგ. გუმ : თაბ. : აღ. ქუმ : რუთ. ნუმ : უდ. კუმჟნ : წახ. ქუმა „კვამლი“, შდრ. ქართ. კუამლ- : მეგრ. კუმა „id.“.

2) ჩეჩნ. : ინგ. : ბაცბ. დუყ ~ ხუნძ. რუტ ~ ანდ. რუტუ : ლოდ. : ჭამ. : ახვ. რუტი : ტინდ. რუტა : ბაგვ. რუტ : კარ. რუტუ ~ ბეჟ. დ/რუტო (კუნზ. რუტუ) ~ ლაკ. რუკ : დარგ. დუკ ~ არჩ. იტ : უდ. იყ „უდელი“...

ფერეიდნული საკითხი და საბჭოთა პოლიტიკის კულისები*

ფერეიდნული დიალექტური კუნძული – ქართული ენობრივი კუნძული ირანში, ჩამოყალიბდა იძულებითი, მასობრივი მიგრაციის რამდენიმე ტალღის შედეგად და დაახლოებით 400 წელია არსებობს ისპაჰანის მახლობლად, ფერეიდნის პროვინციაში.

ენობრივი კუნძულის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ისტორიულ სამშობლოსთან ენობრივი და კულტურული კავშირების სახე და ინტენსივობა. ბირთვული კულტურული არეალიდან ხანგრძლივი იზოლაციისა და არაკეთილგანწყობილი მმართველობის პირობებში ფერეიდნული კუნძულის სიმტკიცე მეცხრამეტე საუკუნიდან უკვე საკმაოდ შეირყა და, ყველა ნიშნის მიხედვით მალე უნდა დაწყებულიყო მისი დაშლა.

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ისტორიულ სამშობლოსთან გააქტიურებული კონტაქტები საკმაოდ დიდი მოტივაცია იყო ჯგუფში ეთნიკური მობილიზაციის დასაწყებად. თუმცა ისტორიული საარქივო მასალის შესწავლამ დაგვანახა, რომ ეს პროცესი არ იყო სტიქიური. ყოველ შემთხვევაში, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ის იგეგმებოდა და იმართებოდა საბჭოთა პოლიტიკოსთა მიერ.

უდავო საბუთებია იმისა, რომ თვით სეიფოლა იოსელიანის ვიზიტის ორგანიზებაც სახელისუფლებო ინიციატივა იყო. ასევე ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ამბაკო ჭელიძეს, რომელმაც 1927 წ. მოინახულა ფერეიდანი და დაწერა წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“ (1935).

მე-20 საუკუნის ორმოციანი წლებში ფერეიდნული თემა თითქოს ქრება პუბლიცისტური არენიდან, თუმცა საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა არ შენელებულა. როგორც ბოლო ხანებში გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, საბჭოთა სახელმწიფოს სერიოზული გეგმები ჰქონდა ამ რეგიონთან დაკავშირებით. იგეგმებოდა ფერეიდნელთა „თვითგამორკვევის“ პროცესის მოტივირება და მათი

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (№217438).

გამოყენება საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის – ეს ჯგუფი, სხვა უმცირესობებთან ერთად, უნდა გამხდარიყო მღელვარების გამომწვევი შესაძლო ინსტუმენტი ირანის შიდა პოლიტიკაში.

ამ იდეოლოგიის შორეული მიზნებისთვის შეიქმნა ირაკლი კანდელაკის დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“ (1944), რომელიც ასახავს ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ჩაგრულ ყოფას. დაჩაგრული, დამონებული ეთნიკური უმცირესობის ხატის შექმნა მიზნობრივად მიმდინარეობდა მოსალოდნელი სოციალური მღელვარების გასამართლებლად და ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. თვით რეჟისორი აღიარებდა, რომ ხედვის ამგვარი რაკურსი ნაკარნახევი და თავსმოხვეული იყო და მთლად ზუსტად არ ასახავდა რეალურ ვითარებას.

ასევე საზოგადოებრივი აზრის შექმნას ცდილობდა საფრანგეთში გამოძავალი გაზეთი „ქართული საქმე“ (1947, N9), რომელიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის რუპორი იყო. გაზეთი მიმოიხილავდა მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს მთავრობის მიერ ფერეიდანში გაგზავნილი კომისიის დასკვნას, რომლის საფუძველზეც უარყოფილ იქნა ფერეიდნელთა რეპატრიაციის მოთხოვნა. ეს დასკვნა არაცალსახად გამოხატავდა საბჭოთა დირექტივას: ფერეიდნელებმა „უნდა მოიპოვონ ეროვნულ უმცირესობათა ყველა ის უფლებები და შეღავათები, რომლებიც არსებობენ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში“.

ბოლო ხანებში გამოქვეყნდა მანამდე გასაიდუმლოებული საარქივო მასალა – სიმონ ჯანაშიას ნარკვევი „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ (1944 წლის 26 მარტამდე)“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივნის – კანდიდ ჩარკვიანის დავალებით არის შესრულებული. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე მათში აღწერილი ინფორმაცია სამეცნიერო მიმოქცევაში არ მოხვედრილა, მეტიც, სამეცნიერო წრეებისთვის საერთოდ უცნობი იყო ს. ჯანაშიას კავშირი ფერეიდნის საკითხთან.

ეს დოკუმენტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და იმჟამინდელი ყოფის შესახებ. ჩანს, რომ ეს ინფორმაცია იქ, ადგილობრივ არის მიღებული, დამკვირვებელი სომხურ სოფელში, ზანგიბარანში ცხოვრობს და საკმაო დროის მანძილზე დეტალურად სწავლობს სიტუაციას.

სიმონ ჯანაშიას ინფორმაციას ავსებს სხვა იმდროინდელი დოკუმენტებიც, რომლებიც სრულყოფილად წარმოგვიდგენენ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ფერეიდნული თემის „გათამაშების“ გეგმას. ამკარად ჩანს, რომ იგეგმება და მიმდინარეობს ფართო პროპაგანდისტული სამუშაო და ეს მხოლოდ ფერეიდნელთა ბედზე ზრუნვით არ არის ნაკარნახევი. მაგრამ ამ მცდელობამ შედეგად მოგვცა ის, რომ ფერეიდნულ კუნძულში წარმოიქმნა ეთნიკური მობილიზაციის რამდენიმე საკმაოდ ძლიერი ტალღა, რომელიც წინ აღუდგა კუნძულის რღვევის ბუნებრივ პროცესს. გარდაუვალი ასომილაციური პროცესების პარალელურად დაიწყო კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის პროცესი, რომელსაც 60-იანი წლებიდან მზარდი ხასიათი აქვს და დღემდე გრძელდება.

ამირან ბასილაშვილი

ბV- ანლაუტიან CVC ტიპის ზმნურ ფუძეთა დიაქრონიული ანალიზისათვის უდიურში

CVC ტიპის ზმნურ ძირთა სინქრონიულ დონეზე ანალიზისას ყურადღებას იქცევს **ზ** თანხმოვნით დაწყებული ზმნური ძირები. თანხმოვანთა პოზიციების მიხედვით დისტრიბუციული სიხშირის ჩვენებისას ვხედავთ, რომ CVC მოდელის ზმნურ ძირებში **ზ** თანხმოვანი ანლაუტის პოზიციაში გაანალიზებული მასალის ნახევარზე მეტ (ცხრამეტ) შემთხვევაში გვხვდება, რაც სხვა თანხმოვანთა გამოვლენის სიხშირეს დაახლოებით 6-ჯერ აღემატება (ბ-19, გ-2, დ-1, ყ-4...). ამიტომ, ბუნებრივია, დგება **ზ** თანხმოვნის, როგორც ისტორიულად მოქმედი მორფოლოგიური ინვენტარის, გამოყოფის საკითხი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უდიურ ზმნთა და სახელზმნურ ფორმთა ერთ ნაწილში, ისევე როგორც სახელურ ფუძეებში, გამოიყოფა თავკიდური, ამჟამად უფუნქციო ელემენტი. უდიურის ფორმათა შედარება მონათესავე ენების შესაბამის ფუძე-ფორმებთან და ამ ენებში საერთო – როგორც ძირეული, ისე აფიქსური მორფემების გამოყოფა იძლევა საშუალებას ამ ფუნქცია-

მოშლილ და ძირს შეხორცებულ ელემენტთა ეტიმოლოგიური ძიებისა. ევგ. ჯეირანიშვილის მიერ უდიური ზმნური ფორმები შედარებულია სხვა დაღესტნური ჯგუფის ენათა შესაბამის ფორმებთან. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ამ ელემენტს უდიურ სიტყვა-ფორმებში უჭირავს ის ადგილი, რაც მონათესავე ენათა შესაბამის სიტყვა-ფორმებში გრამატიკული კლასის ნიშნებს:

უდიური **ბა-ქ-ეს** „ყოფნა“ – მუხადური **აი-ქ-ის** „ყოფნა“ (კაცის, ნივთის, მოვლენის), **რი-ქ-ის** „ყოფნა“ (ქალისა), **ვი-ქ-ის** „ყოფნა“ (ცხოველისა), **დი-ქ-ის** „ყოფნა“ (მრავალთა); არჩიბული: **ვი-ქ-ირ**, **დი-ქ-ირ**, **ზი-ქ-ირ**, **ო-ქ-ირ** („ყოფნა“ – იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით);

უდიური **ზი-ხ-ეს** „შობა“ – წახური: **უ-ხ-ი**, **აუ-ხ-ი**, **ფუ-ხ-ი** „id“ (გრამატიკული კლასების მიხედვით);

უდიური **ზო-კ-ეს** „წვა“ – არჩიბული: **უ-კ-ას**, **დო-კ-ას**, **ზო-კ-ას** „id“ (გრამატიკული კლასების მიხედვით).

ევგ. ჯეირანიშვილის მიერ ბV- თავკიდური ელემენტი კვალი-ფიცირებულია როგორც გრამატიკული კლასკატეგორიის გაქვავებული პრეფიქსი.

უდიურში დიაქრონიული ანალიზის შედეგად გრამატიკული კლასის არსებობა პირველად ივანე ჯავახიშვილმა გახადა ცხადი თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. მეცნიერმა სახელთა ფუძეების ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად უდიურში გამოავლინა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გაქვავებული ფორმანტები.

მოგვიანებით ევგ. ჯეირანიშვილმა ამ საკითხს მიუძღვნა ცალკე ნაშრომი.

კლასისნიშნიან ზმნურ ფუძეთა დიაქრონიული ანალიზი ნათლად აჩვენებს ზმნურ ძირთა ისტორიულ მონოკონსონანტურობას უდიურში:

ბა-პ-ეს „მიღწევა“, „დაწევა“, „წვდომა“

ბა-ქ-ეს „ყოფნა“, „დაბადება“, „გახდომა“; „შეძლება“; „ქონება“, „ქონა“ („მოეპოვება“)

ბა-ყ-ეს „ჩატევა“, „დატევა“, „მოთავსება (მჭიდროდ)“

ბა-ჯ-ეს „მოპოვება“, „შოვნა“, „არსებობა“

ბე-ს-ეს „თხოვნა“

ბე-ღ-ეს „მხერა“, „დანახვა“, „ყურება“

ბე-ხ-ეს „შესივება“, „შეშუპება“

ბი-თ-ეს „ვარდნა“, „გდება“

ბი-ტ-ეს „თესვა“

ბი-ყ-ეს „პყრობა“, „ჭყრა“, „დაკავება“; „აგება“, „ამენება“

ბი-ხ-ეს „შობა“, „დაბადება“

ბო-კ-ეს „წვა“

ბო-ს-ეს „გადაგდება“, „გადაყრა“, „ტყორცნა“

ბო-ტ-ეს „ჭრა“, „წყვეტა“

ბო-შ-ეს „ძლომა“

ბო-ყ-ეს „კრეფა“ (ვართ.)

ბო-ხ-ეს „ხარშვა“

ბუ-ჟ-ეს „ბღენძა“, „პრანჭვა“

ბუ-ყ-ეს „ყვარება“, „ნდომა, წადილი, სურვილი, მოსურვება“.

ასეთი სახით სემანტიკურ ცხრამეტივე ნიმუშს, რა თქმა უნდა, ერთნაირი მტკიცებულებითი მხარდაჭერა არა აქვს. როგორც ზემოთ დავინახეთ, სამი მათგანის (ბაქეს, ბიხეს, ბოკეს) მონოკონსონანტურობა სრული სიცხადით აჩვენა ევგ. ჯეირანიშვილმა. ეჭვს არ იწვევს ბეღ-ეს „დანახვა“, „ყურება“ (ბეღ „მზე“) სიტყვაში ბე- კლასის ნიშნის ფორმანტად გამოყოფა (ევგ. ჯეირანიშვილი; არნ. ჩიქობავა). ტ. გუდავას მიერ გამოვლენილი დადესტნურ-ქართველური ბგერათ-შესატყვისობის რიგში მ. ქურდიანი აყენებს უდიურ **ბუყეს** „სიყვარული“, „ნდომა“ და ქართულ **სიყვარულს**. ბუნებრივია, ამ სიტყვაშიც **ბუ-** პრეფიქსი კლასის ნიშნად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ქართულში **სი-** თავსართი წარმომავლობით გრამატიკული კლასის ფორმანტად არის მიჩნეული (არნ. ჩიქობავა). მ. ქურდიანის აზრით, ნახურ-დადესტნურ ენებში CVC სტრუქტურის ძირთა გამოყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მასში გამოირიცხება კლას-კატეგორიის ნიშნებად გამოყენებული თანხმოვნების მონაწილეობა. თაბასარანულში, უდიურის ახლომონათესავე ენაში, შენიშნულია, რომ CVC ტიპის ზმნური ძირების აგებულებაში არ მონაწილეობს კლასის ნიშნებად გამოყენებული თანხმოვნები (ც. ბარამიძე). ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩვენს მოსაზრებას უჭერს მხარს იმის შესახებ, რომ ბV- ანლაუტის მქონე CVC სტრუქტურის ზმნური ფუძეები უდიურში მონოკონსონანტური უნდა იყოს.

მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

იური მარი – ფერეიდნულის მკვლევარი*

ფერეიდნული დიალექტის შესწავლას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ლადო აღნიაშვილის შემდეგ ფერეიდნის ადგილზე ან დისტანციურად მრავალი ქართველი მეცნიერი სწავლობდა. უნდა ითქვას, რომ იური მარის წვლილი ამ საქმეში ერთგვარად ჩრდილში დარჩა და სათანადოდ არ ასახულა ფერეიდნულის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

1925 წლის აგვისტოში ირანში ყოფნისას იური მარი ეწვია ისპაჰანს და, როგორც მამისთვის მიწერილი წერილიდან ჩანს, აპირებდა ფერეიდნის მონახულებასაც. ფერეიდანში ასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ ის ისპაჰანშივე შეხვდა ფერეიდნელ ქართველ ჯარისკაცს, რომელსაც 3-4 საათის განმავლობაში ესაუბრა.

ფერეიდნული პრობლემით იური მარის დაინტერესება რომ ზერელე არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მას მიმოწერა ჰქონია ირანში მყოფ ამბაკო ჭელიძესთან (1927 წ.) და კონსულტაციასაც უწევდა მას. ირკვევა, რომ სწორედ იური მარის მითითებით შეახსენა ამბაკო ჭელიძემ ისპაჰანელ ისტორიკოს სეიდალის, რომ მის მიერ შედგენილ და დაბეჭდილ მთლიან სტატისტიკაში, თუ რა ენებზე ლაპარაკობენ ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ერები, არ იყვნენ მოხსენიებული ქართველები.

მოგვიანებით იური მარმა დაწერა ორი სტატია ფერეიდნულ თემაზე. ერთი აღწერდა მის დაკვირვებებს ფერეიდნელი ჯარისკაცის მეტყველებაზე, მეორე კი ამბაკო ჭელიძის მიერ გამოგზავნილი ორი ფოლკლორული ნიმუშის ენობრივ ანალიზს წარმოადგენდა.

ამ მცირე ზომის სტატიებში მკვლევარი განიხილავს ფუნდამენტურ საკითხებს, იძლევა ფერეიდნული დიალექტის შესახებ უძირფასეს ცნობებს.

სტატიაში „ფერეიდნელ ქართველთან საუბრიდან“ იური მარი ფერეიდნულს „კუნძულაკად“ (остров) მოიხსენიებს. ის ახასიათებს ამ კუნძულაკის ბგერით შედგენილობას (სახელდობრ, აღნიშნავს ჯ და ჭ ბგერების არსებობას); მიუთითებს დიალექტის შიდა

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (№217438).

დიფერენციაციაზე, აღნუსხავს ენათა კონტაქტის შედეგად გაჩენილ ძალიან საინტერესო მოვლენებს – მათ შორის, ფერეიდნელთა სპარსულ მეტყველებაში ქართული ენის გავლენით მომხდარ ცვლილებებს; გვამღვეს ქართული სოფლების ჩამონათვალს, რომელიც რამდენადმე განსხვავებულია მანამდე და შემდგომ შედგენილი ნუსხებისგან. მკვლევარი ასევე წარმოადგენს სპეციფიკურ ლექსიკას, აღწერს ზოგიერთ რიტუალს, აღნიშნავს, რომ კალკირებულ ფორმათა გვერდით მთქმელი თავისუფლად იხსენებს ბევრ ქართულ ფორმას.

სტატიაში ზედმიწევნით არის გადმოცემული ფერეიდნელი მთქმელის მეტყველების დახასიათება. მკვლევრის ინტერესის მიღმა არ რჩება არცერთი უმნიშვნელო დეტალი. ამის წყალობით შესაძლებელია ამ მცირე ზომის ნაშრომიდან მნიშვნელოვანი სოციოლინგვისტური მონაცემების მიღებაც: მთქმელი ორენოვანია, მის სპარსულ მეტყველებას ქართული ინტონაცია და ქართულის გავლენით გაჩენილი ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენა ახასიათებს. ქართულად საუბრისას თვალში საცემია რიცხვითი სახელების, ზომისა და მანძილის აღმნიშვნელი ტერმინების სპარსულად დასახელება. მთქმელი თავად აღნიშნავს, როგორც კარგად ნაცნობ და გაზიარებულ ფაქტს, რომ ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი და ფერეიდნულში ორი თქმა („ორი ენა“) გამოიყოფა. ასახელებს განსხვავებული ლექსიკის ერთ მაგალითსაც: „ჩირდილი“ / „ქოლგა“ [ჩრდილი]. ეს მაგალითი უტყუარი ნიშანია იური მარის ინფორმატორის ზუსტი წარმომავლობის დასადგენად: ის „ჩირდილის“ ენობრივი სივრცის, ანუ „ბოინ-მიანდაშტის“ წრის სოფლების მკვიდრია.

მეორე სტატია „ქართული ფერეიდანის ხალხური სიტყვიერების ორი პატარა ნიმუში“ ეძღვნება ამბაკო ჭელიძის მიერ გაგზავნილი ფოლკლორული ფრაგმენტების ანალიზს. ერთი სპარსული ლექსია, მეორე – ქართული. სპარსული ლექსისა და მისი რუსული და ქართული თარგმანების გვერდით იური მარი აქვეყნებს საკმაოდ ცნობილი ფერეიდნული ლექსის ვარიანტს:

გადი-გამოდიან ჩიტები,
მე შენ როგორ შეგეჭიდები,
გადი-გამოდიან კაკბები,
მე შენ გულში ჩაგეკოკბები,
შენ იჯექი რუის პირსა,
ხალი გაჩნდა გულის პირსა.

ეს არ არის ამ ლექსის პირველი პუბლიკაცია. 1922 წელს გაზეთ „ბახტიონში“ დაიბეჭდა იოსებ ჭეიშვილის არქივიდან რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, მათ შორის ერთი ამ ლექსის უფრო ვრცელი ვარიანტი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, იური მარის ეს საინტერესო დაკვირვებები ჩრდილში დარჩა და საენათმეცნიერო მიმოქცევაში თითქმის არ მოხვედრილა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება იური მარის ფერეიდნული შტუდიების დეტალური ანალიზი.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ზოგი კავშირის გამოყენებისათვის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. ის მთავარ წინადადებას უკავშირდება მიმართებითი ნაცვალსახელებით, მიმართებითი ზმნიზედებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით.

თანამედროვე ქართულში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ისეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მაკავშირებელ საშუალებებად იყენებენ **სადაც/საიდანაც, როდესაც/როცა** კავშირებს: „აღარ არსებობდა ის სახლი, **სადაც** ისინი ცხოვრობდნენ“; „ეჭვიმიტანილმა სამართალდამცველებს უჩვენა ის ადგილი, **სადაც** გასაღები და გილზა გადააგდო“; „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, **როცა** მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“; „რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, **როცა** გადაწყვეტილება არსებობდა და ვიღაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის“...

სასაუბრო მეტყველებაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული აღნიშნული კონსტრუქციის წინადადებები. განსაკუთრებით ხშირია ის საზოგადოებრივი ინფორმაციის

ენაში (როგორც ბექედურ, ისე ტელე- და რადიომედიაში). დასტურდება თარგმნის ტექსტებშიც.

რატომ იყენებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა კავშირებს? ცნობილია, რომ დასახელებული წევრ-კავშირები ძირითადად გამოიყენება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. ჩვენი დაკვირვებით, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. **როდესაც/როცა, სადაც/საიდანაც** კავშირები გამოიყენება ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში, როცა მას მთავარ წინადადებაში ახლავს კორელატი (ჩვენებითი ნაცვალსახელები). გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კი ყოველთვის არ მოიპოვება მისათითებელი სიტყვა. 2. დასახელებულკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარი წინადადების არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს **მიემართება დამოკიდებული წინადადების არა რომელიმე შესაბამისი წევრი** (როგორც ეს **რომელიც/როგორც** კავშირის შემთხვევაშია), **არამედ მთლიანად წინადადება განსაზღვრავს მთავრის მისათითებელ წევრს, უფრო ზოგადი შინაარსით ახასიათებს მას**. აღნიშნული სახის წინადადებებში კორელატი იმავე ბრუნვაში კი დგება, რომელ სიტყვასაც განსაზღვრავს, მაგრამ რაკი მთავარს უკავშირდება მიმართებითი ზმნიზედებით, ამიტომ სინტაქსური დამოკიდებულება არ ჩანს. ასეთი შინაარსის კონსტრუქცია მოითხოვს **როცა/როდესაც, სადაც/საიდანაც** კავშირებს. უფრო მეტიც, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის ბუნებრივი **რომელიც, როგორც** კავშირების გამოყენება დასახელებულ შემთხვევებში ყოველთვის ვერ ხერხდება. 3. **აღნიშნულ კონსტრუქციებში უფრო ადგილის, ან დროის შინაარსის გაგება წამოიწევს წინ, ვიდრე შესაბამისი წევრის განსაზღვრებისა**. ამიტომაცაა, რომ ასეთი წინადადებები იყენებენ გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მიმართებით ზმნიზედებს.

გვანცა გვანცელაძე

გერმანული ტოპონიმები საქართველოში

XIX საუკუნემდე საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩნდებოდა უცხოენოვან ტოპონიმთა, კერძოდ, ბერძნულ, იტალიურ, სომხურ, თურქულ, აფხაზურ, ოსურ, ხუნძურ გეოგრაფიულ სახელთა მეტ-ნაკლებად მოზრდილი ჯგუფები. ეს პროცესები, ჩვეულებრივ, მიმდინარეობდა **სპონტანურად**, რომელიმე სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრული საგანგებო გეგმის გარეშე.

რადიკალურად შეიცვალა ვითარება XIX-XX საუკუნეებში, როცა მიმდინარეობდა ადგილობრივ ტოპონიმთა **დაგეგმილი** და **მიზანმიმართული** ცვლა რუსული იმპერიის ხელისუფლებისა და საბჭოთა რეჟიმის მიერ. ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს 1817 წლის შემდგომ რამდენიმე ეტაპად განხორციელებული სექტანტ გერმანულ კოლონისტთა (უპირატესად შვაბების) ქართლსა და აფხაზეთში ორგანიზებული ჩამოსახლება და ამასთან დაკავშირებული ონომასტიკური პროცესები.

გერმანელთა ჩამოსახლებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა:

1. ეთნიკური და კონფესიური ვითარების რუსეთისათვის ხელსაყრელად შეცვლა საქართველოს იმ მხარეებში, სადაც მე-19 საუკუნეში უკვე ჭარბობდა მაჰმადიანი მოსახლეობა: ქართველები (მესხები, ჯავახები), თარაქამები, თურქები;
2. გერმანელთა მიერ მოწინავე ევროპული ტექნოლოგიის დანერგვა.

გერმანულ კოლონისტთა ახალშენებს ერქმეოდა გერმანულენოვანი სახელები, რომელნიც ნაწარმოები იყო ან პირსახელების შემცველი კომპოზიტებისაგან, ან სხვა ტიპის რთული სახელებისაგან. მაგალითად:

ალექსანდერდორფი (Alexanderdorf „ალექსანდრეს სოფელი“);

ელენენდორფი (Elenendorf „ელენეს სოფელი“);

ანენდორფი (Anendorf „ანას სოფელი“);

მარიენფელდი (Marienfeld „მარიას ყანა, მარიას მინდორი“);

კატარინენფელდი (Katarinenfeld „კატარინას ყანა, კატარინას მინდორი“);

პეტერსდორფი (Petersdorf „პეტერის სოფელი“);

ელიზაბეტალი (Elisabettal „ელიზაბეტის ხეობა“);

ფრიდენტალი (Friedental „მშვიდობის ხეობა“);

ტრაუბენტალი (Traubental „ვაზის, ვენახის ხეობა“);

გნადენბერგი (Gnadenberg „დაუნდობელი მთა“);

ვალდჰეიმი // ვალდჰაიმი (valdheim „ტყის სახლი“) და სხვ.

გერმანელთა ახალშენებმა იარსებეს კომუნისტური რეჟიმის პერიოდშიც, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და სახელეებიც შეინარჩუნეს, გარდა **კატარინენფელდისა** (ბოლნისი), რომელსაც 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ **ლუქსემბურგი** უწოდა **როზა ლუქსემბურგის** პატივსაცემად. ამ უკანასკნელს ისტორიული სახელი **ბოლნისი** დაუბრუნდა 1943 წლის 3 აპრილს.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

აწმყოს პარადიგმაში საყრდენი ფუძის მონაცვლეობისათვის ზემოიმერულ კილოკავში

მოვლენა ძირითადად ერთთემიან ზმნებს შეეხება. ჩვეულებრივ, ტრადიციული ერთთემიანი ზმნები აწმყოს მწკრივში თანამედროვე ქართულ დიალექტებში ან მარტივი თემითაა წარმოდგენილი, ან გართულელებულით:

ვ-თეს	ვ-თეს-თ (I)	ან	ვ-თეს-ავ	ვ-თეს-ავ-თ (II)
ს-თეს	ს-თეს-თ		ს-თეს-ავ	ს-თეს-ავ-თ
თეს-ს	თეს-ენ		თეს-ავ-ს	თეს-ავ-ენ

ზემოიმერულში დასტურდება შერეული პარადიგმები; შერევა ხდება ორი პრინციპით: ა) მრავლობითი რიცხვის სუბიექტური მესამე პირის ფორმას იღებს პირველი პარადიგმიდან, ხოლო სხვებს – მეორე პარადიგმიდან და – პირიქით:

ა) ვ-რეცხ-ავ
რეცხ-ავ

ბ) წევი-ყვან
წეი-ყვან

რეცხ-ავ-ს
ვ-რეცხ-ავ-თ
რეცხ-ავ-თ
რეცხ-ენ

წეი-ყვან-ს
წევი-ყვან-თ
წეი-ყვან-თ
წეი-ყვან-ებ-ენ

გვაქვს შემთხვევები სხვადასხვა თემისნიშნის ფორმათა შერევისა: **ხარჯ-ავ-ს/ხარჯ-ევ-ენ**, **ხნ-ამ-ს/ხნ-ევ-ენ**... შერევის პრინციპი აქაც იგივეა: მრავლობითი რიცხვის სუბიექტური მესამე პირის საყრდენი ფუძე სხვაობს სხვა ფორმათა საყრდენი ფუძისაგან.

აწმყოს პარადიგმის აგების ასეთ წესს ადასტურებენ მესხურშიც: **ვ-ბამ-ან / ბამ-ან / ბამ-ან-ს / ვ-ბამ-ან-თ / ბამ-ან-თ / ბამ-ებ-ენ** (მ. ბერიძე)...

ერთ პარადიგმაში ფორმათა შერევის ამგვარი პრინციპი ანალოგს პოვებს ძველ ქართულში. მსგავსი პარადიგმა აქვს სტატიკურ ზმნათა ერთ ჯგუფს აწმყოში: ერთი მხრივ, **ვ-წავ / ს-წავ / წავ-ს / ვ-წავ-თ / ს-წავ-თ** და მეორე მხრივ, **წვ-ან-ან**...

პარადიგმათა შერევის ასეთი პრინციპი ბევრ კითხვას აჩენს...

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა და ზმნისართის გამიჯვნისათვის ქართულში

ერთსა და იმავე ფუძეებზე დამყარებული ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელები და ვითარების ზმნისართები, როგორც წესი, ფორმოზრივ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. დასახელებულ ფორმათა კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ წინადადებაში მათი ფუნქციის გათვალისწინებით (შესაბამისად, გამოიყოფა ვითარებითბრუნვისფორმიანი უბრალო დამატება და ვითარების გარემოება), მაგ., ზმნს., ვით. გარემ.: „ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდაწყვიდეს, იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და **კარგად** ზმიდეს“ (რუსთაველი); შდრ., სახელი, უბრ. დამატ.: „ავსა **კარგად** ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ (რუსთაველი), თუმცა ზოგჯერ მაინც შეინიშნება ამ ტიპის ფორმათა (მაშასადამე, ერთსა

და იმავე ფუძეებზე დამყარებული ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელებისა და ვითარების ზმნისართების) გამოიჯვნის ერთგვარი ტენდენცია (გარკვეული ტიპის ფორმებში) – ზმნისართი შეკუმშულ ფუძეს წარმოგვიდგენს (სახელისაგან განსხვავებით): ზმნს., ვით. გარემ.: „ქალიშვილი **მშვენიერად** მღეროდა“ (მ. გარიყ.); შდრ., სახელი, უბრ. დამატ.: „გედი ქალად იქცა – თვალწარმტაცად, **მშვენიერად** (გერმ. ლეგენდა)“, ან კიდევ: ზმნს., ვით. გარემ.: „გაიოზმა ცხენს **ღონიერად** გადაჰკრა მათრახი“ (ლ. ქიაჩ.); შდრ., სახელი, უბრ. დამატ.: „ახლა დევმა მეცხრე თავი გამოიბა და კიდევ უფრო **ღონიერად** გადაიქცა“ (ქართ. ზღაპ.) და სხვ.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

სიბილანტთა შესატყვისობანი საერთოქართველურ და ბურუშულ ენებს შორის

საერთოქართველურ (სქ) წინა რიგის, სისინა (ზ, ს, ძ, ც, წ) სიბილანტებს, ქვემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ბურუშულში სისინა სიბილანტები შეესატყვისება:

სქ *ბეზ-//ბიზ- > ქართ. (იმერ.) გა-ბეზ-ვ-ა „ძალზე გაძლომა“, (ლექს.) გა-ბიზ-ინ-ეზა „ფერ-დების ამოვსება“; ზან. (მეგრ.) ბიზ-ა, ბიზ-ალ-ი „მსხვილი, გაბერილი“, ბიზ-ინ-ი, ბიზ-ინ-ავ-ა „გასივება, გაბერვა“; სვან. ბიზ-ა „ძლომა“, ბიზ „საკმარისი, საძლომი“ : ბურ. (ჰ., ნ.) bis, (ი.) bes „ცხი-მი, ქონი“ [მნიშვნელობათა დაკავშირებისთვის შდრ.: სქ *პოხ- > ქართ. პოხ-ა „კვება“, პოხ-ილ-ი „გამოკვებილი“, პოხა-ა „სიმსუქნე“, პოხ-ი-ერ-ი „ნოყიერი, მსუქანი“; სვან. პოხ-ილ „ქონი“];

სქ *ზა- > ქართ. ზა-მთარ-ი, ზა-ფხულ-ი, ზან. (მეგრ.) ზო-თონჯ-ი, სვან. ზა-ა „წელი“ : ბურ. sa „მზე, დღე, თვე“;

სქ *ზარ- > ქართ. ზარ-ი „შიში, ელდა, შეძრწუნება“, ზრზ-ოლ-ა-ა „ძრწოლა“, ზრზ-ოლ-ა (საბა) „საჭმელ-სასმელმან რა ტანში ზარი დაუაროს“, ზან-ზარ-ი „რყევა“ : ბურ. zar „შიშისგან შეკრთომა, შეხტომა“, zarzár, zazár „შეკრთომა, მხრების გატოკება“, zur „რხევა; შე-

შინება“, zúrzur „ციებისაგან კანკალი“ [ქართ. ზარ-ი ფალაური ან ახალსპარსული zahr „შხამი; დარდი, ნაღველი; რისხვა, აღშფოთება“ სიტყვიდან მომდინარედ მიიჩნევა (მზ. ანდრონიკაშვილი; ფ. დელ-შადი), მაგრამ წარმოდგენილი ქართული ფორმები ერთმანეთთან და მათ სავარაუდო ბურუშულ კოგნატებთან აშკარად უფრო მჭიდრო ფორმალურ და სემანტიკურ კავშირებს ავლენენ, ვიდრე აღნიშნულ ირანულ ლექსემასთან];

სქ *ლას- > ქართ. (ქართლ.) ლას-ა „აპკი, გარსი (ხახვის, კვერცხის, აბრეშუმის პარკისა...); აბრეშუმის თხელი ქსელი, რომელშიც პარკს ამაგრებს ჭია; ნადები ენაზე, სასაზე“, (ინგილ.) ლას-ა-ფ „აბრეშუმის ჭიის ცუდი, ძნელად დასახვევი პარკი, რომლისგანაც ყაჭს აკეთებენ“ : ბურ. las „ის, რაც აბრეშუმის ჭიის პარკისგან რჩება, როცა მას აბრეშუმს მოაცილებენ“;

სქ *მუს- > სვან. მუს „თოვლი“ : ბურ. mos „ზვავი, ღვარცოფი“;

სქ *სალ- > ქართ. სალ-ა (საბა) „ბრტყელი ქვა სამღერელი“, (ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქიზიყ., რაჭ., თუშ.) „ბრტყელი მრგვალი რიყის ქვა“, სალ-ი „პიტალო, ფრიალო (კლდე); გადატ. მაგარი, ურყე-ვი“, (ხევს.) სალ-ი „ცხენის ჩლიქის ქვედა, რქოვანი ნაწილი“, ზან. (მეგრ.) სოლ-ი „დამრეცი“ (?) : ბურ. sal „ბრტყელი ქვა, რომელზეც მარცვლეულს ფქვავენ; დოლაბი; მარილის კვერი; გასუქება“;

სქ *სერ- > ქართ. სერ-ი „ვახშამი; სადამო“; ზან. (მეგრ.) სერ-ი „ღამე“, ო-სარ-ე „პერანგი“, (ლაზ.) სერ-ი „ღამე“ : ბურ. -sir, (ი.) -ser „დაპურება, ჭმევა“;

სქ *მაფ- > ქართ. მაფ-ი : ბურ. (ჰ., ნ.) c^hap-án-, (ი.) cap-án- „კერვა“ [შდრ. ბასკ. zap-i „ქსოვილი, ნაჭერი“];

სქ *ბომ- > ქართ. ბომ-ი : ბურ. (ი.) buc „ძელი, რომელსაც ბერკეტად იყენებენ“;

სქ *ორმ- > ქართ. აღ-ორმ-ინ-ებ-ა „გაზრდა, ამოზრდა, გახარება...“ : ბურ. warc „მთელი, კარგ მდგომარეობაში მყოფი (იარაღი, გზა, ჯანმრთელობა); გამთელებული, აღდგენილი; გამოჯანმრთელება, აღდგენა“;

სქ *ძღ- > ზან. (მეგრ.) ძღ „ქონი“, სვან. (ბქ.) ძღჷერ, ძღერ „ცხიმი“ (< მეგრ.?) : ბურ. (ი.) zay „ცხიმი“, zayeri „ცხიმისანი, ქონიანი“;

სქ *ფარცხ- > ქართ. ფარცხ-ი, ზან. (მეგრ.) ფოცხ-ი, ბუცხ-ა/ზირცხ-ა „ფრჩხილი“, (ლაზ.) ბუცხ-ა „ფრჩხილი, ფოცხი“, სვან. მგ-ფცხ-ი, მგ-ფაგცხ-ი „მფარცხავი“ : ბურ. phask „ფარცხი“;

სქ *ცად- > სვან. ცად(ა), ცად(ა) „სანაცვლო, სამაგიერო“ : ბურ. chat „მსგავსის, ეკვივალენტის შექმნა; შესადარებელი რამ“;

სქ *ჯეც- > ქართ. მ-ჯეც-ი; სვან. ლი-ჯეც-ე „დანგრევა“, ჯაც-ა „ნგრევა; დაღუპვა, სიკვდილი; ოჯახის დაქცევა“ : ბურ. (ჰ., ნ) qhis, (ი.) xes „დახევა (ტანსაცმლის), დაგლეჯა (ადამიანისა ველური ნადირისგან)“, u-qhis-aso „მტაცებელი ცხოველი“;

სქ *წამ- > ქართ. წამ-ებ-ა „დამოწმება, დაჭეშმარიტება, დადასტურება“, წამ-ებ-ულ-ი „დაჯერებული, სანდო, აღიარებული“, შეწამ-ებ-ა „დაჯერება, შეჯერება“, სვან. წამ, წამ „მკვიდრი (და, ძმა, ნათესავი) (ეტიმოლოგიურად: ნამდვილი?)“ : ბურ. (ჰ., ნ.) c^han, (ი.) can „სწორი, მართალი; სიმართლე; ჭეშმარიტი; დაჯერება, ნდობა“, c^hanac^han „დაჯერება, ნდობა“;

სქ *წარ- > ქართ. წრ-ავ-ა, ს-წრ-ავ-ა „სიჩქარე“, მო-ვ-ე-ს-წარ, ზან. (მეგრ.) წორ-ავ-ა „გასწრება“ : ბურ. c^hor „ადრე, მალე, სწრაფად, დაუყოვნებლივ; სიჩქარე“, c^horc^hor, c^hoc^hor „ძალიან სწრაფად“; (ი.) crap „უეცრად, მოულოდნელად“;

სქ *წუტ- > ქართ. წუტ-ი : ბურ. c^hut „მთის წვერი; ფრინველის ბიბილო“;

სქ *წონ- > ქართ. წონ-ა „გაზომვა“, („ამირანდარეჯანიანი“) „დათვლა“, აღ-წონ-ა „აწონა, შეფასება“, ზან. (მეგრ.) წონ-უ-ა „აწონა, შედარება, შეფარდება“, (ლაზ.) ო-წონ-ავ-უ „აწონა“, სვ. ონ-წონ „ავწონე“, ხუ-ა-წუნ-ე „ვწონი“ : ბურ. (ჰ., ნ.) -c^han-, (ი.) -can- „დათვლა, გამოთვლა; თვლიდე, განიხილავდე როგორც...“.

სქ *წყალ- > ქართ. წყალ-ი, ზან. (მეგრ.) წყუ „ჭა“, წყუ-რგილი „წყარო“ : ბურ. c^hil, (ი.) c^hel, c^hal (?) „წყალი“...

სქ შუა რიგის (ჩვენი ვერსიით – შიშინა რბილ, ე.წ. ნუნასასის-მიერ (ალვეოპალატალურ) ზი (?), ს₁, ძ₁, ც₁, წ₁) და უკანა რიგის (ჩვენი ვერსიით – შიშინა მაგარ, ლაბიოველარიზებულ (რეტროფლექსურ) ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ) სიბილანტებს ბურუმულში შიშინა ალვეოპალატალური (თაკვიდურ პოზიციაში) და შიშინა რეტროფლექსური (ბოლოკვიდურ პოზიციაში) სიბილანტები შეესატყვისება (გამონაკლისებს ახსნა ემეზნება):

სქ *გუას₁-//გუს₁- > ქართ. სა-გუას-ალ-ი, სა-გუს-ალ-ი, სა-ქუს-ალ-ი „ქსოვილი“, ზან. (მეგრ.) რშ-უ-ალ-ა, (ლაზ.) ო-შგ-ალ-უ/ო-შ-უ, სვან. ლი-ჯიმ „ქსოვა“ : ბურ. gisa-/yasi- „ქსოვა“;

სქ *ს₁ერ- > ქართ. სა-სრ-ევ-ი „სალესი ქვა“; სვან. ლი-შ₁რ-ე „ლესვა“ : ბურ. -sir, (ი.) -ser „ლესვა“;

სქ *ს₁რუტ- > ქართ. სრუტ-უნ-ი, ზან. (მეგრ.) შირტ-ინ-ი „სრუტ-უნნი, ქსუტუნნი“ : ბურ. (ი.) sórt „სრუტუნნი“;

სქ *ძ₁აგ- > ქართ. ძაგ-ებ-ა, მ-ძაგ-ს..., ზან. (მეგრ.) ჯოგ-აფ-ა „ძულეზა, შეზიზღეზა“, (ლაზ.) გო-ნჯოგ-უ „მოწყენა, შეზიზღეზა“ : ბურ. čhak-én „ლანძღვა გინეზა“, čak „id.“, čhak „მწარე სიტყვების თქმა“;

სქ *ძ₁ამ- > ქართ. ძამ-ა, ძამ-ია, ძმ-ა; ზან. (მეგრ.) ჯიმ-ა, (ლაზ.) ჯუმ-ა; სვ. ჯგმ-ილ/ჯიმ-ილ : ბურ. žám „ნათესავი, განს. შორეული ნათესავი, რომელსაც მიწა მემკვიდრეობით არ ერგება“;

სქ *ძ₁ირ- > ქართ. ძირ-ი „ძირი, ფესვი“, სა-ძირ-კ-ვ-ელი-ი, ძირ-კ-ვ-ი; ზან. (მეგრ.) ჯინჯ-ი „ძირი“, ჯირ-კ-ი „ჯირკი“, (ლაზ.) ჯიჯ-ი „ძირი“, ჯირ-ევ-ი „ჯირკი“ : ბურ. č'iris, (ი.) cerés „ფესვი“;

სქ *ძ₁არღ₁- > ქ. ძარღ₁-ა, ზან. (მეგრ.) ჯერღ₁-ი, სვან. ჯ₁რღ₁ (?) : ბურ. žauwa, žawá „დიდი მყესი“;

სქ *ც₁- > ქართ. ც-ემ-ა „დარტყმა, მიცემა“, მეგრ. ჩ-ამ-ა „მიცემა, ჭმევა“, ლაზ. ო-ჩ-ამ-უ „ჭმევა“, მე-ჩ-ამ-უ „მიცემა“ : ბურ. (ჰ., ნ.) -č'í- (ი.) -č'í- „მიცემა“;

სქ *ც₁ალ- > ქართ. ცალ-ი; სვან. -შ₁ლ „თანდ. -ვით“ : ბურ. č'ulč'al „მსგავსება; მსგავსი“;

სქ *ც₁ოხ- > ქართ. ცოხ-ნ-ა; სვან. ლი-ჩ₁ეხ₁ „ძოვა“, (ზსვ.) ი-ჩ₁ხ₁ „ძოვს“ : ბურ. čaq „ღეჭვა“;

სქ *წ₁აქ- > ქართ. წაქ-ა (საბა) „განაწურთ წვენი; მაწუნისა და მისთანათა რადგ გაიწურების“, (დ. ჩუბინ.) „განაწური წვენი მაწუნისა და მისთ.“, წაქ-ი, წაქ-ა (ქეგლი) „იგივეა რაც შრატი“ : ბურ. čaká „ხაჭო, ჩანთაში მოთავსებული გასაწურად“;

სქ *წ₁ელ- > ქართ. წელი-ი „წელი; ნაწლავი“, ზან. (მეგრ.) ჭი/ჭგ, (ლაზ.) ჭუ/მჭუ, სვან. ჭინ-ჭილ : ბურ. (ჰ., ნ.) č'ir, (ი.) cer „ნაწლავები“;

სქ *წ₁ეთ-/წ₁უთ- > ქართ. წ₁ეთ-ი, დამო-ს-წ₁უთ-ი-ს; ზან. (მეგრ.) ჭვათ-ი/ჭვეთ-ი „წვეთი“, (ლაზ.) ო-ჭ₁უთ-უ-ა „საწვეთური“ : ბურ. (ჰ., ნ.) č'ut, č'utso, č'utan, (i.) čut „წვეთი“;

სქ *ბუჟ- > ქართ. და-ბუჟ-ებ-ა, ბუჟ-ილ-ი, სვან. ბჟელ-მა-ბჟელ, ბჟელ-მა-ბჟელ „ზუზუნი, ბზუილი, ჟიჟინი“ : ბურ. (ი.) buž, buz „ბურ-ძგვლა (ბუსუსის აშლა შიშის ან სიცივის გამო)“;

სქ *ჟინ- ქართ. (საბა) ჟინ-ი „მოუშლელი წადილის ქნა“, (გ.) ჯინ-ი : ბურ. (ი.) žin „ძლიერი ლტოლვა, სწრაფვა“;

სქ *ლაშ- > ქართ. ლაშ-ი „ბაგე, ტუჩი“; ზან. (მეგრ.) ლეჩქე-ი, (ლაზ.) ლეშქე-ი „ბაგე, ტუჩი“; შდრ. ქართ. ლომ-ნ-ა, ლომლომი „ხარბად ჭამა“ : ბურ. laş „ლოკვა“;

სქ *მშუ- > ქართ. მშენ-ვა (მშუ-ინ-ვა), შუმ-ინ-ვა, ფშენ-ვა „სუნთქვა“, სა-მშენ-ვ-ელ-ი „სული“ : ბურ. muş „სუნთქვა“;

სქ *ყომ- > ქართ. ყომ-ი „მაჯის პირი (ჩვეულებრივ, სამკუთხედის სახისა) გადაკეცილი“ (შდრ. (ინგილ.) ყომ „ძველებურ არხოლოდებზე იდლიებადმდე გაჭრილი სახელო, რომელიც მაჯებთან იკვრებოდა“) : ბურ. quş „სამოსთან სახელოს შემაერთებელი ნაწილი; ტანსაცმლის ნაწილი იდლიის ქვეშ“ [ზასკ. (რ.) kusa „ტანსაცმლის შემონაკეცი, ნაოჭი“];

სქ *შე- > ქართ. (ხევს., ფშ., მოხ.) შე „საუკეთესო მატყლისგან დამზადებული ძაფი“ : ბურ. še „მატყლი“;

სქ *შუ- > ქართ. ქართ. შუ-ენ-ი-ს, შუ-ენ-იერ-ი, უ-შუ-ერ-ი, ზან. (მეგრ.) სქვ-ამ-ი „ლამაზი“, სქვ-ებ-ა/სქვ-ამ-ებ-ა „დამშვენება, შემკობა, შეფერება“, (ლაზ.) სქვ-ა/მსქვ-ა/ფსქვ-ა „მშვენიერი, ლამაზი“; სვან. ხ-ე-სგუ/ხ-ო-სგუნ „შეფერება, შეშვენის“, სგუ-ჰნ „შნო“ : ბურ. şua „კარგი, მშვენიერი, შესანიშნავი“;

სქ *შოლტ- > ქართ. შოლტ-ი (ფშ., გუდ. – შანიძე) „კოჭი, თავზეზე გადებული დირე“, (ქსნის ხეობა, ფშ.) „სახურავზე გადებული გრძელი კოჭი, რომელზედაც სახურავის ფიცრებია დაკრული; კედლიდან კედელზე, ან თავზეზე გადებული ძელი, ლატანი“ : ბურ. şolt/şolt „სახურავი“;

სქ *რჯუ- > ქართ. მა-რჯუ-ე, ზან. (მეგრ.) მო-რძგვ-ი „მარჯვე“, (ლაზ.) მა-რძგვ-ან-ი „მარჯვენა“, სვან. : ბურ. ლე-რსგუ-ენ „მარჯვენა“ : ბურ. rıçê „ცოცხალი, მარჯვე, ყველაფრისთვის მზად მყოფი“, rıçêi „სიმკვირცხლე“;

სქ *საჯ- > ქართ. საჯ-ა, მ-საჯ-ულ-ი, სვან. [ზან. (მეგრ.)] სგუ-ეჯ-ნ-ი, სგოჯ-ნ-ი „ბრძანდება“ : ბურ. sâaჯი „მიუკერძოებელი, ნეიტრალური პირი, მსაჯი, შუამავალი“;

სქ *ჯუ- > ქართ. ჯვ-ამ-ს, ზან. (მეგრ.) ნძგ-უმ-ა „მოჯმა“, (ლაზ.) ბ-მგ-უმ „ვჯვამ“, სვან. ხ-ა-სგ-ენ-ი „ეჯმება“ : ბურ. ჯა „ცხვრის ნაწლავები ექსკრემენტებით“ [მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის, შდრ.: სვან. ცქერ „I. საქონლის ფაშვში მოთავსებული მოუნელებელი სა-

ქმელი; 2. ფალარათი“ : ზან. (მეგრ.) ცქირა „თხელი განავალი (განსაკუთრებით ნაწლავში რომ არის)“ ცქირუა „თხელი განავლის გასვლა, ცქირას გამოყოფა“;

სქ *აჩუ- > ქართ. აჩუ, აჩო „შემახილი ცხენის გასარეკად“, აჩუა „ცხენი ბავშვის ენაზე“, აჩი „შემახილი ვირის ან ჯგორის ადგილიდან დასაძრავად“, აჩია „ვირი ბავშვის ენაზე“ : ბურ. აჩბ, (ი.) აჩბ „მოიცა!“ [შდრ.: ბასკ. (ზ., გ.) ატხ „შორისდებული, საქონლის შესაძახებლად (უკან რომ დაიწიოს)“ (რ.) ატხო „შემახილი ღორების გასარეკად“, (ზ.) ატზ „შემახილი საქონლის უკან დასახევად“ შდრ. (სალ., სუბ.) ატი „ვირი ბავშვის ენაზე“];

სქ *ბოჩ- > ქართ. ბოჩ-ოლ-ა „ხბო“ : ბურ. (ჰ., ნ.) ბუჰოოჰო, (ი.) ბოჰო „ხბო“, ბოხო „ხბოს მოსახმობი შემახილი“;

სქ *ბუჩქ- > ქართ. ბუჩქ-ი : ბურ. მუჰკ „ტყე, ტყერი, ეკალბარდი“;

სქ *ჩალ- > ქართ. ჩალ-ა : ბურ. ჩანჩალ „ცერცვის ღეროები (გალეწვის შემდეგ დარჩენილი)“;

სქ. *ჩიბ- > ქართ. ჩიბ-ე (საბა) „ღორთა და თაჯუთ საწოლი“, (ნ. ჩუბ.) „ნადირთ საწოლი ბუდე, საბუდარი, ანუ თევზთ საბუნაგე“, (დ. ჩუბ.) „ნადირთ ბუდე, საბუდარი, ანუ თევზთ საბუნაგე“, (რაჭ.) სა-ჩიბ-ე „საჭმლის შესანახი“ : ბურ. ჩიბიყო „მიწისქვეშა, გადახურული არხი“ [შდრ.: ბასკ. sibillo „პატარა ღრმული სარდაფში ღვინის ცივად შესანახად“, ასევე გაურკვეველი (ბასკური?) წარმომავლობის ესპ. sibil „მცირე საუკუნაო სარდაფში ხორცისა და სხვა პროდუქტების შესანახად; მიწისქვეშა ღრმული“];

სქ *ჩხამ- > ქართ. (ზ. იმერ.) ჩხამ-ა „წვრილი პატარა თევზი“, ზან. ჩხომ-ი „თევზი“, სვან. ჩხუმიან-ი, ლე-ჩხუმ-ი : ბურ. ჩუმ „თევზი“;

სქ *ბაჰკ- > ქართ. (შანიძე: თუშ., ფშ., ხევს., მოხ./ხევს., ფშავ.) ბაჰკ-ო//ბაჰყ-ო „ავდარში წამოსასხამი შალისა“, ბაჰკ-ო-იან-ი „(ნაბადი) მოკლებუწვიანი“ : ბურ. ბისკე, (ი.) ბისკე, ბესკეე „ცხოველის ბეწვი“;

სქ *ბეჰ- > ქართ. ბეჰ-ი : ბურ. ბაჰ „ცხვრის ფეხი, რომელიც ქორწილში სტუმრებს უნაწილდება“ [შდრ.: ბასკ. beso „მკლავი, წინამხარი“];

სქ *მუჭ- > ქართ. მუჭ-ი, გურ. [ზან. (მეგრ.)] მუჭკ-ა „ერთი მუჭა ღომის თავთავი“; ზან. (მეგრ.) მუწკ-ა „მუჭი“ : ბურ. (ჰ.) muç „მუშტი, მუჭი“, muçi „გუთნის სახელური, მაჭი“;

სქ *ფუჭ- > ქართ. ფუჭ-ი „უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.)“ : ბურ. phuş „ცარიელი, ფუტური; უგულო (კაკალი და მისთ.)“;

სქ *კოჭ-/ჭოკ- (?) > ქართ. კოჭ-ი „გათლილი ძელი, სახლის მოპირდაპირე კედლების თავზე გარდი-გარდმო გადებული, ჭერის ფიცრების დასაკრავი“ (შდრ. ჭოკ-ი „წვრილი და გრძელი ჯოხი“) : ბურ. (ჰ., ნ.) ḥúkus, (ი.) ḥúkus „სახლის კედელზე გადებული ძელი ნივნივის დასაყრდნობად“;

სქ *ჭუტ-/ჭიტ- ქართ. ჭუტ-ა//ჭიტ-ა! „ბავშვების გასართობი სიტყვა; დამალულს შესძახე-ბენ და ნიშნავს – გიპოვნეო, დაგინახეო“ : ბურ. (ი.) ḥúṭi „დამალობანას ტიპის თამაში“ [შდრ.: ბასკ. (ბ.) txito „შეძახილი დაჭერობანას თამაშის დროს (ერთი ბავშვი მეორეს txito-ს ეტყობდა და გაიქცეოდა, მეორე კი დასაჭერად გამოედევნებოდა)“, txitoka „დაჭერობანა“, „დამალობანა“];

სქ *ზუეჭ- > ქართ. ხუეჭ-ა „წართმევა“; (მეგრ. – ქაჯაია) ხვაჭ-იე „მომხვეჭელი“ : ბურ. húuşi „ნადავლი, ნამარცვი“, húuşi -t- „მარცვა, ტაცება“.

გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

პოეტური ირონიის სემიოტიკა

ჰუსერლის ინტენციონალურობის თეორია კვლავ აქტუალური ხდება, განსაკუთრებით, რამდენიმე კუთხით: როგორც მისი „ფენომენოლოგიური მეთოდის“ ცენტრალური პრობლემა, იგი განიხილავს ბუნებრივი ენის წარმოშობის, ევოლუციის, მისი დენოტაციური და კონოტაციური ფუნქციების კვლევის საკითხებს. ამ მიმართებით მეტად საყურადღებოა ნოემის არსის ინტენციონალური განმარტება, ნოემის აზრისა და მისი კორელატის გაყოფა, რაც ახალი წახნაგით წარმოაჩენს მნიშვნელობის კლასიკურ პრობლემას.

სამოცდაათიანი წლების მკაცრი ლოგიკურ-სემანტიკური ატმოსფეროს შემდეგ მენტალურ აქტთა ინტენციონალური შინაარსი განიხილება როგორც მენტალურ რეპრეზენტაციათა წინარე სახე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ენის საერთო ფუნქციური მოდელის აგება და ფუნქციონალური კვლევები, რომლებიც საკმაოდ რთულსა და განშტოებულ სისტემას წარმოადგენენ. გამოყოფენ, სულ ცოტა, სამ მიმართულებას. ესენია: საკუთრივ ენათმეცნიერული, პარალინგვისტიკური, ექსტრალინგვისტიკური.

ენობრივი დონეების პოზიციიდან იქმნება რამდენიმე მიკროქრონიული პარადიგმა, რომლებიც შემდგომში გაერთიანდება ენის მაკროქრონიულ მოდელში.

მიკროქრონიულ პარადიგმად გამოვყოფთ პოეტური ირონიის სემიოტიკას ქართული დისკურსის მაგალითზე.

თვითირონია, როგორც საკუთარი თავის დაცინვა, ერთი მხრივ, არის კრიტიკა ქების საფარქვეშ, მეორე მხრივ, წარმოადგენს რეფლექსურ რეაქციას საკუთარ გრძნობებსა და მოქმედებებზე.

პოეტური თვითირონია ჩნდება ჩვეულებრივი კომუნიკაციის საფუძველზე, მაგრამ შეიცავს სამყაროსადმი ელეგიური მიმართების ელემენტებს.

პროტოტიპურ ირონიულ გამონათქვამად გვევლინება შექების სახით წარმოდგენილი დაცინვა: „ყოჩაღ, ჩემო ძმაო, როგორ დამეხმარე!“, „შემხედეთ, როგორი მამაცი ვარ!“ და მისთ.

პოეტურ ტექსტებში ირონია საკმაოდ ხშირად წარმოადგენს პათეტიკის მოხსნის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ თვითირონია თავისი არსით რეფლექსურია, როცა ვაფასებთ ხოლმე ჩვენს მიმართებას საკუთარ მოქმედებასთან, ნაკლებად გამჭირდავები და გესლიანები ვართ, ვიდრე სხვისი შეფასებისას.

ირონია იმ ტიპის არაპირდაპირ კომუნიკაციას განეკუთვნება, რომლის შედეგი ხშირად არ შეესაბამება მოლაპარაკის ინტენციას – გამიზნულად თუ დაუგეგმავად.

ირონიული ობერტონებით გაჯერებული ხმა, „ირონიული ბრჭყალები“ – დაცინვის ის ხერხია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ციტირებულ ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა და სხვათა დაწმენა, რომ მოყვანილი გამონათქვამი სიცრუეა.

დუმილიც ხშირად გამოხატავს ირონიას. თვით ირონიის სიჭარბე კი ფარული ან დაუფარავი აგრესიის ნიშანია.

მოთხრობითი ბრუნვის გამოხატვის საშუალებები ხათურში

ხათურში მოთხრობითი ბრუნვის არსებობის თაობაზე აზრთა სხვაობაა მეცნიერთა შორის. მაგალითად, ი. კლინგერი არ მიიჩნევს მას ბრუნვის ერთეულად (1996); ამავე აზრისა არიან ო. სოდსალი (2004, 2010), ალ. კასიანი (2010). მას არც ა. კამენჰუბერისეულ პარადიგმაში ვხვდებით (1955). საპირისპირო შეხედულება აქვს ჰ. შუსტერს (1974, 2002). იგი მოიაზრებს მის არსებობას ბრუნვათა სისტემაში, თუმცა არ განუხილავს გამოხატვის ხერხები.

ჩვენი დაკვირვებით, ხათურს უნდა ჰქონოდა მოთხრობითი ბრუნვა. როგორც ჩანს, მისი გამოხატვა ორგვარად ხდებოდა: ბრუნვის ნიშნისა (-**n**) ან ენკლიტიკური ნაწილაკის (-**ჰu**) დართვით.

ა) -**n** ბოლოსართით წარმოებული ერგატივის შემთხვევაა, მაგალითად:

1. tabarna-**n** „თაბარნამ“: *tabarnan katte kaniwaš* ^{SAL}*tawanana kamuḥale* „მეფე თაბარნამ დასვას დედოფალი გეცხლოთან“ (KBo 37.1, 60-62).
2. wel-**n**(u) „სასახლემ“: *antuḥ* ^D*šulinkati katte le-welnu* „მიიღოს შულინქათე მეფის სასახლემ“ (KUB 2.2+KUB 48.1 III 21).

ბ) -**ჰ(u)** ენკლიტიკური ნაწილაკით გაფორმების ნიმუშებია:

1. eštan-**ჰu** „ემთანმა“: *eštanḥu le-wel anteḥ* „ემთანი (თავის) სასახლეს აშენებს“ (KBo 37.1 I 7-8).
2. wel-**ჰu** „სასახლემ“: *wel-ḥu toluma* „სასახლემ დაძლია“ (KBo 37.1 I 9).

ჯერჯერობით უცნობია, რა პრინციპს ემყარება ენკლიტიკური ნაწილაკითა თუ ბრუნვის ნიშნით ერგატივის გამოხატვა. ვფიქრობთ, -**ჰu** ნაწილაკის გამოყენება ამ დანიშნულებით მერმინდელი მორფოლოგიური მოვლენა ჩანს. ამას საფუძვლად უნდა დასდებოდა უბრუნებელ სახელთა ფორმანტით აღჭურვის აუცილებლობა, რაც წინადადებაში ქვემდებარის გამოხატვით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ასეთ სახელთა შორისაა პირის ნაცვალსახელები და

საკუთარი არსებითი სახელები. (შდრ. *eštan URUlahzan le-wel anteh* „ემთან ლახვის სასახლეს ამენებს“ (KBo 37.1 Vs. I 3-4), სადაც საკუთარი სახელი ფუძის *eštan* სახით გვხვდება).

ხათურის მოთხრობითი ბრუნვის გამომხატველ ფორმანტებს შესატყვისი გამოუვლინდა ქართველურ ენებში. ეს შესატყვისობა თანხვედრას ავლენს როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით.

ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისობის ერთი გზაა:

ა) ხათ. -**ა** : ქართ. -**ა** (მა-**ა**) : სვან. -**დ** (ჟელ-**დ** „ძაღლმა“).

ბ) ხათ. -**ჰ**(**h**) : კოლხ. -**ქ** (ჯოლორი-**ქ** „ძაღლმა“)

ეს ფონეტიკურ-მორფოლოგიური თანხვედრა, თავის მხრივ, ეხმიანება საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის რეკონსტრუქციის საკითხს, სადაც ხათურის მონაცემთა გათვალისწინება დამატებით დებულებად გამოდგება ორი ნიშნის სავარაუდო არსებობის შესახებ, რომელთა კვალიც შემონახულია, ერთი მხრივ, სვანურსა და ქართულში, მეორე მხრივ კი – კოლხურში.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

ენ-ზე ფუძედაბოლოებული რამდენიმე სახელის მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფუძე შეიძლება შეეკუმშოს სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა დაბოლოების მქონე სახელებს, მაგრამ უმთავრესად ისეთებს, რომელთაც ფუძე უბოლოვდებათ შემდეგ მარცვლებზე: **ალ** (წყალი – წყლისა), **ელ** (მღვდელი – მღვდლისა), **ან** (დერეფანი – დერეფნისა), **ენ** (ყურძენი – ყურძნისა), **არ** (ზღვარი – ზღვრისა), **ერ** (მტერი – მტრისა), **ამ** (ლაგამი – ლაგმისა), **ემ** (ირემი – ირმისა), **ოლ** (გოდოლი – გოდლისა), **ორ** (გოდორი – გოდრისა)...

აღსანიშნავია, რომ ზოგი **ენ**-ზე ფუძედაბოლოებული სახელი, რომელიც კუმშვად ფორმად არის მიჩნეული (როგორც ქეკლის, ისე

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით), თანამედროვე ქართულში უკუმშველობისკენ იხრება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ლექსიკური ერთეულები **ძღვენი** და **წვენი**, თუმცა ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **წვენი** სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა უკუმშველადაა გათვალისწინებული: **წვენი** (წვნისა) მრ. **წვენები**.

საინტერესოა, რომ **წვენი** ყოველთვის იკუმშება სიტყვაწარმოებისას (წვნინანი), მაგრამ არ იკუმშება მრავლობით რიცხვში (წვენები) და არც მხოლოდითი რიცხვის ნათ., მოქმ. და ვით. ბრუნვებში (თანამედროვე ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით): „ყურძნის **წვენის** ბადაგისაგან ამზადებენ ტრადიციულ ტკბილეულს“, „მსგავსი **წვენის** გაკეთება შეიძლება ასევე ჟოლოსგან“, „უტკბილესი **წვენის** ხშირი მირთმევა წონის სიჭარბეს გამოიწვევს“ და სხვ.

რაც შეეხება სიტყვას **ძღვენი**, ქეგლში ის შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **ძღვენი** (ძღვნისა) საჩუქრად მირთმეული რამ, – მოსაკითხი. ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც: **ძღვენი** (ძღვნისა), **ძღვნად**.

აღსანიშნავია, რომ **ძღვენი** ყოველთვის იკუმშება ზმნურ ფორმებსა (უძღვნის, მიუძღვნა...) თუ წარმოქმნილ სიტყვებში (მისაძღვნელი), აგრეთვე მხოლოდითი რიცხვის ვით. ბრუნვაში (**ძღვნად** მიათვია). რაც შეეხება ნათ. და მოქმ. ბრუნვებს, ამ შემთხვევებში **ძღვენი** ძირითადად უკუმშველი ფორმებით დასტურდება: „**ძღვენის** მიღება-გაცემა საკარო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო“, „ამ **ძღვენის** მირთმევა არ იყო იოლი“, „მას მუდმივად სჭირდება ქალღმერთივით **ძღვენის** მირთმევა“, „**ძღვენი**თ მიადგა მეგობარს“, „ისევ **ძღვენი**თ მისვლა გადაწყვიტე“...

ბუნებრივია, დაისმის კითხვა – როგორი უნდა შევთავაზოთ **წვენი** და **ძღვენი** ლექსიკური ერთეულები თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში? – მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ცდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა.

რომანოლოგია

კავკასიის ალბანეთის მთავარების კოპოსთა სახელდებისა და ქრონოლოგიისათვის (IV-VI სს.)*

სომხურ საისტორიო მწერლობაში ალბანეთის ეკლესიის მესაქეთა სიის ოთხი ნუსხა მოგვეპოვება; ისინი წარმოდგენილია „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში (X ს.), მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკაში“ (XII ს.), კირაკოს განმაკვეცის „სომხეთის ისტორიასა“ (XIII ს.) და მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“ (XIII ს.).

ალვ. ქვეყნ. ისტორია	მხითარ გომი	კირაკოს განმაკვეცი	აირივანეცი
წმ. ელისა (I ს.) (ელისე – თადეოზ მოციქულის (70-გან) მოწაფე. გადმოცემის თანახმად, ალბანეთში იქადაგა და მოწამეობრივად აღესრულა)	წმ. ელიშე	წმ. ელიშე	წმ. ელიშა
წმ. გრიგორისი (წმ. გრიგორ ლუსავორიჩის შვილიშვილია)	–	ვიღაც ღვთისმსახური წმ. გრიგორის ამალიდან (მის სახელს არ ახსენებს)	წმ. გრიგორისი
წმ. შუფჰალიშო	წმ. შუფჰალიშო	წმ. შუფჰალიშო (თუმცა თავად ავტორი ამას ეჭვქვეშ აყენებს)	ტერ-შუფჰალიშო
მათეოსი	მათე[ოსი]	მათეფ	ტერ-მათეოსი
საჰაკი	საჰაკი	საჰაკი (კირაკოსის თქმით, 5 წელი იღვაწა)	ტერ-საჰაკი
მოვსესი	კარენი	მოვსესი (6 წ. იღვაწა)	ტერ-მოვსესი
პანდი	პანდი	პანთი (7 წ. იღვაწა)	ტერ-პანდი

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № YS-2016-45, „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“).

ლაზარი	ლაზარი	ლაზარი (8 წ. იღვაწა)	ტერ-ლაზარი
გრიგორი	წმ. გრიგორისი (საფიქრებელია, რომ წმ. გრიგორის შვილიშვილი იგულისხმება)	წმ. გრიგორისი (წმ. გრიგორ ლუსავორიჩის შვილიშვილია)	ტერ-გრიგორესი
ზაქარია	ზახარია	ზაქარია (10 წ. იღვაწა)	ტერ-ზაქარია
დავიდი	დავიდი	დავიდი (11 წ. იღვაწა)	ტერ-დავიდი
წმ. იოვჰანი (მოგვიანებით გახდა ჰუნების ეპისკოპოსი)	წმ. იოვჰანი	იოვჰანესი (12 წ. იღვაწა) (გახდა ჰუნების ეპისკოპოსი)	ტერ-ოჰანი
ერემია (მის დროს, როგორც ავტორი აღნიშნავს, მესროპმა შექმნა ალბანური ანბანი)	ერემია	ერემია (13 წ. იღვაწა) (მის დროს მესროპმა შექმნა ალბანური ანბანი)	ტერ-ერემია
აბასი (44 წ. იღვაწა)	აბასი (23 წ. იღვაწა)	აბასი (14 წ. იღვაწა)	ტერ-აბასი

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, დედანი „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ წუსხა უნდა იყოს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ მხითარ გომისა და კირაკოს განმაკვეცის ხელთ ჰქონდათ სხვა წყაროებიც. ამაზე მეტყველებს კარენის მოხსენიება მოვსესის ნაცვლად მხითარ გომთან და ალბანეთის მღვდელმთავართა მოღვაწეობის წლები კირაკოს განმაკვეცთან, რომელიც სინამდვილეში ალბანეთის მთავარეპისკოპოსთა რიგითობას უნდა ასახავდეს, რადგან ყოველი მომდევნო მთავარეპისკოპოსი ერთით მეტი წლით იკავებს ალბანეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტს (იხ. ტაბულა). ეს თანამიმდევრობა ირღვევა აბასის შემდგომ – მომდევნო კათალიკოსმა ვირომ, როგორც კირაკოს განმაკვეცთანაა აღნიშნული, 33 წელი იღვაწა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კირაკოსს ხელთ ჰქონდა აბასის დროს შედგენილი ალბანეთის მღვდელმთავართა დანომრილი სია და მას ეს რიგითობა ამა თუ იმ ეპისკოპოსის მოღვაწეობის წლებში აერია.

ყურადღებას იქცევს მღვდელმთავართა სახელების მოხსენიება სომხური ფონოლოგიის გათვალისწინებით (ელიშე და მისთ.).

მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ეჭვებისა (მ. გაჯიევი), ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სია IV-VI საუკუნეების რეალურ ვითარებას მეტ-ნაკლებად უნდა ასახავდეს. სათანადო დასაბუთება წარმოდგენილი იქნება მოხსენების დროს.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

ლინგვისტურ ცნება-ტერმინთა „აქტი“ – „ევიდენციალობა“ ურთიერთმიმართებისათვის

1. „აქტი, ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა; აქტის, ანუ საქმის კატეგორიის გამოხატვა ქართულში წარსულდროიანი ფორმის საშუალებით არის შესაძლებელი“ (ა. შანიძე);

2. ევიდენციალობა არის ზოგადი კატეგორია, რომელიც მრავალ ენაში გრამატიკულია, ზოგში კი მხოლოდ სემანტიკური. იგი გულისხმობს მთქმელის მიერ ინფორმაციის წყაროზე მითითებას/მინიშნებას, რომელიც შეიძლება იყოს ვერბალური ან ინფერენციული. ამ თვალსაზრისით ა. შანიძისეული განმარტება სრულად გამოხატავს ევიდენციალობის არსს: „დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შეიძლება ორგვარად გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს (ვერბალური წყარო – ქ. მ.) ამის შესახებ, ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამ შედეგის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო უკანასკნელ შემთხვევაში“ (ინფერენცია).

3. ევიდენციალობის ცნება მორფოლოგიის ნაწილშიც უფრო ფართოა, ე. წ. „უნახაობა“, „თურმეობითობა“ მხოლოდ მორფოლოგიური შეპირისპირების შემთხვევაშიც ვერ ფარავს მას, ვინაიდან ინფორმაციული წყარო გულისხმობს არა მხოლოდ კვალს, არამედ მთქმელის ფონურ ცოდნასაც, რაც არა მხოლოდ წარსულში, არამედ მომავალში მოსახდენი მოქმედების მიმართაც აძლევს მას სავარაუდო დასკვნის საშუალებას.

4. ქართულ ენაში საკუთრივ ინფერენციული ევიდენციალობის გამოსახატავად სპეციალური მწკრივი არ მოიპოვება, თუმცა ე. წ.

ხოლმეობითის მწკრივი მეტ-ნაკლებად ითავსებს ამ ფუნქციას სათანადო კონტექსტში: „სვანეთში უკვე მოთოვა?“ „მოთოვდა“... – პასუხი მთქმელის ფონურ ცოდნას, გამოცდილებას ეფუძნება და არა უშუალოდ კვალს, რომელიც მას არ უნახავს. ინფერენციული ევიდენციალობისთვის ქართული ენა ასევე მიმართავს კონიუნქტიურ ფორმებსაც (ცხადია, დამხმარე საშუალებებთან ერთად).

5. სვანურ ენაში მსგავსი სიტუაციისთვის რამდენიმე სპეციალური მწკრივი არსებობს, რომლებიც ორგანულად, დამხმარე ლექსემების გარეშე გამოხატავენ საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას (ფონურ ცოდნაზე დამყარებული დასკვნა სწორედ სავარაუდოობის ხარისხით განსხვავდება კვალის მიხედვით გაკეთებული დასკვნისაგან!) და ქმნიან ოპოზიციას უეჭველი (პირდაპირევიდენციალური) მოქმედების გამომხატველ მწკრივებთან.

6. მოქმედების აქტისგან განსხვავებით, რომელიც უღლების კატეგორიაა, ევიდენციალობა მოიცავს სინტაქსსაც, ვინაიდან მის დეფინიციაში გახაზული სავალდებულო პირობა: ინფორმაციის წყაროზე მითითება/მინიშნება, ცხადია, პირდაპირ გულისხმობს „სხვათა სიტყვას“, კერძოდ, პირდაპირ ნათქვამს; გარდა ამისა, ინფერენციული ევიდენციალობის ფარგლებში ნაწილობრივ განიხილება ჰიპოტაქსური კონსტრუქციებიც (პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადება...);

ამრიგად, ევიდენციალობა მჭიდრო კავშირშია აქტის კატეგორიასთან, შეიძლება ითქვას, ე. წ. უნახაობა ევიდენციალობის ღერძია, მაგრამ ევიდენციალობა უფრო ფართო ცნებაა: ის პირველ რიგში ზოგადი ლინგვისტიკის ობიექტია, ტექსტის კატეგორიაა, ასევე მოიცავს სინტაქსს, ლექსიკურ საშუალებებს (ალბათ, შესაძლოა, ვფიქრობ...), ხოლო ე. წ. „უნახაობა“, „თურმეობითობა“ მხოლოდ მორფოლოგიური შეპირისპირების შემთხვევაშიც ვერ ფარავს მას.

ევიდენციალობის აღმნიშვნელი საშუალებებით ზოგიერთი ენა ღარბია და მხოლოდ ლექსიკური ერთეულები (დამხმარე სიტყვები) მოეპოვება ამისთვის, ზოგი კი – მდიდარი: მათში საანალიზო კატეგორია გამოხატულია გრამატიკულადაც. როგორც სალიტერატურო ქართულის, ისე უმწერლობო ენების მონაცემთა გათვალისწინებით, ქართველური ენები სწორედ იმ ენათა შორის განიხილება, რომლებშიც ევიდენციალობა განვითარებულია ყველა – ლექსიკურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ – დონეზე.

ორმაგთანხმოვანი უცხოური სახელები ქართულად

ქართულისათვის ბუნებრივი არ არის სიტყვის ძირში ერთმანეთის გვერდით ორი ერთნაირი თანხმოვანი (გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა ერთ-ერთი თანხმოვანი ძირეულია, ხოლო მეორე – ფორმანტისეული: ვაზზე, კალათთან, ატამმა...), თუმცა თანამედროვე ქართულში აშკარად იგრძნობა ტენდენცია უცხო ენათა მართლწერის პრინციპების დანერგვისა. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მომრავლებულია როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე პრესაში:

„– რა ქნა, **მასსა** ბრეის?“ (გ. დოლიძის თარგმ.); „– რატომ, **მასსა** ბრეის?“ (იქვე); „– ...ესენი გაფიქრებთ, **მასსა** ბრეის?“ (იქვე); „მწერალი **ესსეში** „ჩემი ცხოვრება“ წერს...“ („სარკე“, N 20, 2010); „მამა – სერლესლი – ცნობილი **ესსეისტი**... გახლდათ“ („სარკე“, N 39, 2006)*; „ღირსი **აბბა** დოროთე მოღვაწეობდა...“ („სარკე“, N 14, 2015); „ტანაკილ (**ტანნი**) ლეკლერზე მან 1952 წლის მიწურულს იქორწინა“ („სარკე“, N 41, 2011); „მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდით **ტანნი** ჰყავდა?“ (იქვე); „რეჟისორ დათო დოიაშვილის... ქალიშვილი, **ანნა** 16 წლის არის“ („სარკე“, N 32, 2014); „წმინდა **ანნა** დაიბადა...“ („სარკე“, N 5, 2015); „**ანნა** კადინსკაიას ინიციატივა იყო...“ („სარკე“, N 52, 2013); „**ანნა** კი... მათი საერთო შვილია...“ („სარკე“, N 28, 2015); „– **ანნა**, თქვენი ძირითადი საქმიანობა რა არის?“ („სარკე“, N 11, 2011); „იგი **ანნა** ბარდაველიძე გახლავთ“; „...წარღვნის შემდეგ გადარჩნენ მხოლოდ მამრი დევკალიონი და მდედრი **პირრა**...“ („სარკე“, N 26, 2015). „...ეს კუ რეპტილია გადაშენების პირას მყოფი ზღვის კუ **ბისსაა**“ („სარკე“, N 40, 2015); „მიდის სადამო და ჭიქას მივსებს, და ვუსმენ, ვუსმენ **ელლა** ფიცჯერალდს...“ (რ. ამაშუკელი)...

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ვითარება გვაქვს სავაჭრო ობიექტებსა თუ სარეკლამო აბრეზზე წარმოდგენილ ფორმებშიც. მაგალითად, ბელლისა (bellissa), დონნა (DONNA) და ა. შ.

* გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწერებოდა და, სამწუხაროდ, ახლაც ძალიან ხშირად წერენ და ამბობენ – **ესსე, ესსეი, ესე**. თუმცა სწორი ფორმაა **ესე**.

ქართული ენის მართლწერის პრინციპების გათვალისწინებით, უცხო სიტყვები, რომელთა ფუძეში გაორმაგებული თანხმოვნები გვხვდება, ქართულად ერთი თანხმოვნით უნდა გადმოიცეს (აღნიშნულის შესახებ არაერთგზის თქმულა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა შედეგი არა გვაქვს).

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება -**შა** სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

აყაზშა „თვისება, ხასიათი“ (აყაზაარა „ყოფნა“), აძსა-შა „ცურვის ხერხი“ (აძსარა „ცურვა“), აფზაშა „კითხვის ჩვევა“ (აფზარა „კითხვა“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს აშაპე „ფეხი“ სიტყვისაგან – წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ.: ქართული:

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედიშენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**) || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენთ.**) (**ქეგლი**).

ფეჭი (მე-2) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005).

ეშმაკის ფეხი პრდ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოუ-

რი, მოთხრობები, 261) (თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, ტ. I, თბ., 1950).

განხილული მასალის საფუძველზე მოხსენებაში მოცემული იქნება ქართულ და აფხაზურ ენათა მსოფლმხედველობრივი მსგავსების წარმოჩენის ცდა.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით

ბიბლიოგრაფ გიორგი ბაქრაძის შედგენილი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია: 1819-1945“ არა მარტო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის წარმოადგენს მდიდარ მასალას, არამედ გამორჩეული წყაროა ქართული დისკურსის 126-წლიანი მონაკვეთის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით შესასწავლად.

ბიბლიოგრაფიაში, გარდა ჩვეულებრივი ჟურნალ-გაზეთებისა, აღნუსხულია ყოველი ისეთი გამოცემა, რომელიც დროგამოშვებით, თუნდაც დროის არათანაბარ მონაკვეთებში გამოდიოდა, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების „შრომები“, „მომხბვები“, „უწყებანი“, „ბიულეტენები“, „ანგარიშები“ და სხვ.

ავტორ-შემდგენლის თავდაუზოგავ შრომასა და მაღალპროფესიონალიზმს მოწმობს დამატებები და საძიებლები, რომლებიც დიგიტალურ ეპოქამდე, ხელით არის შექმნილი.

აღნიშნული გამოცემის ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლა მოიცავს საკითხებს:

- პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები, როგორც განსაკუთრებული ნომინაციური ერთეულები;
- ნომინაციურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები 1819-1945 წლების ქართულ პერიოდიკაში;

- ჟანრობრივ-თემატური პროპორცია-დისპროპორცია და იდეოლოგიური განაჩენი;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა, როგორც მოცემული დროითი მონაკვეთის მსოფლხედვის ენობრივი რეალიზაცია;
- ჟურნალ-გაზეთების სახელდების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები;
- ეროვნულ-კულტურული და უნივერსალურ-კულტურული კონცეპტები პერიოდულ გამოცემათა სათაურებში და სხვ.

ნ ა ნ ა ს ა ა კ ა ძ ე

პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები ქვემოქართლურში

ნებისმიერი ენის ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაციისათვის არ არის საკმარისი ლექსემათა სემანტიკური ასპექტით განხილვა. ქვემოქართლური კილოს ლექსიკური ფონდის სრულად შესწავლა-აღწერა და დახასიათება შესაძლებელია საზოგადოებასთან მისი მიმართების გათვალისწინებით.

ქვემოქართლური კილოს ლექსიკური ფონდის სემანტიკური სტრუქტურის სრულყოფილი შესწავლა, ჩვენი აზრით, გულისხმობს ცალკეულ სიტყვათა სემანტიკურ დახასიათებას საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ სემანტიკური დახასიათებისას აუცილებელია გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, თუ როგორ არის ეს შესაძლებლობები რეალიზებული სხვადასხვა შემთხვევაში სათანადო საზოგადოების მიერ ისტორიული პირობებისა და ყოფითი მოვლენების შესაბამისად გამომუშავებულ ენობრივ ჩვევათა ფონზე.

პოლისემიის წარმოქმნის წყაროა დიალექტებიდან მომდინარე მნიშვნელობათა თავმოყრა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქვემოქართლური კილოკავი წარმოადგენს.

მოხსენებაში განხილულია ქვემო ქართლში აღნუსხული ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: **ალაო, დაკოდილი, ველი, კალო, კილი, კორა, ნაწვერალი, უმი, ღოჯი...**

ალაო (დიდი გომარეთი) – არყისთვის დამზადებული საფუარი;

ალაო (ს. მამულო) – თესლიდან უმცირესი ამონაყარი;

ალაო (ს. მამულო) – ჭყინტი მარცვლისაგან დამზადებული ფქვილი.

პოლისემიურ სიტყვებში ძირითადად თავს იჩენს დიალექტური, სპეციალური ენებისა და საერთოენობრივ მნიშვნელობათა შეხამება, რაც ხშირად შედეგია განსხვავებულ ენობრივ კოლექტივთა ურთიერთობისა.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

„ი“ და „ე“ ხმოვანფუძიანი რამდენიმე საზოგადო სახელის მართლწერისათვის

როგორც წესი, ნასესხებ „ი“ და „ე“ ხმოვანფუძიან ისეთ საზოგადო სახელებს, როგორებიცაა: **ტაქსი, იუბილე, კაფე...**, აღნიშნული ხმოვანი მიჰყვება ყველა ბრუნვაში მხოლოდით რიცხვში, ხოლო მრავლობითი რიცხვის „-ებ“ მაწარმოებლის დართვის შედეგად ეს „ი“ იკვეცება, „ე“ კი შენარჩუნდება. შესაბამისად, მართლწერის ლექსიკონებში ამგვარი სიტყვები მითითებულია შემდეგნაირად:

ტაქსი (მოთხრ. ტაქსიმ, მიც. ნათ. ტაქსის; ტაქსიში)

იუბილე (იუბილეს‘ი)

კაფე (კაფეს‘ი)

თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია, რომ სიტყვა „ტაქსი“ გაგებულ იქნეს თანხმოვანფუძიანად, ხოლო „იუბილე“ და

„კაშნე“ სიტყვებს მხოლოდით რიცხვში ბოლო ხმოვანი მოეკვეცოთ შესაბამის ბრუნვებში. მაგალითად*,

1. სადგურიდან სამარშრუტო **ტაქსმა** არსენალი და წყაროსუბანი ამატარა.

სადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითომდა გადაადგილების მიზნით ჩაუჯდა კერძო **ტაქსს**.

პირველი, რაც ბორჯომში ჩასვლისას გავაკეთე, ჩავჯექი **ტაქსში** და ქალაქში გავისეირნე.

2. 12 სექტემბერს ჟან-ივ ლე დრიანი გაემგზავრა საჩხერეში სამთო მომზადების სკოლის 10 წლის **იუბილის** აღსანიშნავად.

რადიო „თავისუფლების“ 50-წლიანი **იუბილისადმი** მიძღვნილ კონფერენციაზე, რომლის შესახებაც თამარ ჩიქოვანმა მოგიტხროთ, მოხსენებით გამოვიდა კონფერენციის ორი ქართველი მონაწილე.

„ოქროს **იუბილით**“ უკმაყოფილო არც ეს ადამიანები და-რჩენილან.

3. წამებში **კაფის** მინის მიღმა მის თვალწინ კომმარული ტრაგედია დატრიალდა.

ღია **კაფისკენ** მივდიოდი, სადაც ჩვეულებისამებრ, ყოველდღე ქოქოსის რძეს ვსვამდი.

მოხსენებაში ვიმსჯელებთ წარმოდგენილი ტენდენციის მიზანშეწონილობისა თუ უმართებულობის თაობაზე.

* საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=gnc>) და მათში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

ანლაუტში ზგერის დაკარგვის შემთხვევები ჩეჩნურსა და ქართულში

1. ანლაუტში **კ** ზგერის ჩავარდნის შემთხვევები ჩანს ჩეჩნურ, ზოგადად, ნახურ ენებში. მაგ., **კურზ||კურძ** „ჭვარტლს“ გამოხატავს ჩეჩნურსა და ინგუშურში. ამ სიტყვას აქვს **ურზ||ურძ** ვარიანტიც, რაც მიღებულია თავკიდური **კ**-ს დაკარგვით. კერძოდ, **კ** დაკარგულია: ბაცბურში (**ურძო**), ახიურსა და ჭებერლოურში (**ურზ**), ითუმყალურსა და ქისტურში (**ურძ**).

2. „ორმო“ ჩეჩნურში არის **კაგ** ლექსემის სახით, „ღრმა“ კი – **კორგა** (< კარგუნ), ბაცბურშიც იგივე ფუძეა წარმოდგენილი. სავარაუდოდ, **კორგა** „ღრმა“ სიტყვას მოკვეცილი აქვს ანლაუტის **კ**, რის შედეგადაც მიღებული უნდა იყოს ჰიდრონიმი **ორგა** (მდინარის სახელია ჩეჩნეთში).

3. ქართული „**კვართ**“-ისაგან მითებული ჩანს ჩეჩნურ-ინგუშური **ვართი || ვერთი || ვერთა** (დიალ. ვარიანტები) „ნაზადი“. აქაც სესხების პროცესში დაკარგული ჩანს თავკიდური კონსონანტი **კ**, რომელიც ქართულში გვაქვს. ბაცბურში გვხვდება ქართულიდან ნასესხები „**ნაზად**“.

4. „**კაკანათი**“ საბას ლექსიკონში მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით: ნ. „აკანათი“. „აკანათი“ კი განმარტებულია შემდეგნაირად: **აკანათი** – სირთა მახე, სირთა და ჩიტთა მახე.

როგორც ჩანს, საბას თანამედროვეთა მეტყველებაში **კაკანათი** იშვიათად იხმარებოდა, უფრო გავრცელებული იყო თავკიდურ პოზიციაში **კ**-დაკარგული მისი ვარიანტი.

იმავე პოზიციაში ქართულში **კ**-ს დაკარგვით მიღებული ჩანს **ალატა** „კალათ-იდან“ : **ალატ**-ი „წისქვილის ალატა“ (საბა). შდრ. აგრეთვე, კრკო > რკო...

„ზურგის“ აღმნიშვნელი ლექსების შემცველ აფხაზურ და ქართველურ იდიომთა შედარებითი ანალიზი

აფხაზურსა და ქართველურ ენებში საკმაოდ გავრცელებულია ლექსემა **ზურგის** შემცველი იდიომები; მათი დიდი ნაწილი საერთო მოტივაციის მქონეა. აფხაზურ იდიომებთან მიმართებით განვიხილავთ სათანადო ქართულ და ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. აფხაზური და ქართული ფრაზეოლოგიზმები მოვიძიეთ გამოცემული ლექსიკონებიდან, მეგრულ-ლაზურის მონაცემების ნაწილი გამოქვეყნებულ ლექსიკონებშია დადასტურებული, ნაწილი კი ჩვენ მიერ არის მოპოვებული.

ეს იდიომები სემანტიკურად მრავალფეროვანია. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

აფხაზ. **იბლა ღლოჭუბ** (ზედმიწ. „მისი ზურგი ძლიერია / მაგარია“), ქართ. **მაგარი ზურგი აქვს**, ზან. (მეგრ.) **მანგარ(ი) ოჭიში უღუ** || (ლაზ.) **კაპეტი კაპულა უღუნ** (ზედმიწ. „მაგარი ზურგი აქვს“) „გავლენიანი დამხმარე ჰყავს, მხარდაჭერა აქვს“.

აფხაზ. **აბლა მითეიტ** (ზედმიწ. „ზურგი მისცა“), ქართ. **ზურგი მისცა**, ზან. (მეგრ.) **ოჭიში(ი) ქიმეჩგ** „დახმარება გაუწია“.

აფხაზ. **იბლა ფწეიტ** (ზედმიწ. „მისი ზურგი გაწყდა“), ზან. (მეგრ.) **ოჭიშიქ მეტირხგ** || **მეჭყორდგ** (ზედმიწ. „ზურგმა მოსტყდა || მოსწყდა“), ქართულში ამავე სემანტიკის მქონე იდიომში საყრდენ სიტყვად „ზურგის“ ნაცვლად „წელი“ გვხვდება: ქართ. **წელი მოსწყდა**, შდრ. ზან. (ლაზ.) **შქა ქანუტუხუ** || **ქანუტკოდუ** (ზედმიწ. „წელი ქე მოსტყდა || ქე მოსწყდა“) „მუშაობისგან მეტისმეტად დაიქანცა“.

აფხაზ. **იბლა ეაწიხიტ** (ზედმიწ. „მისი ზურგი გაიმართა“), შდრ. ქართ. **წელში გაიმართა** და ზან. (ლაზ.) **შქა ქაგუინთხუ** (ზედმიწ. „წელი ქე გაშალა“) „ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესა“ და სხვ.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი , მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

შორისდებულები ჩოლურულ მეტყველებაში

(სვანურის დიალექტებთან მიმართებით)

როგორც ცნობილია, შორისდებულის ჯგუფები და ფუნქციები თითქმის ერთნაირია ყველა ენაში, განსხვავება, ძირითადად, რაოდენობასა და გამოხატვის ფორმებშია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სვანური ენა შორისდებულებით მდიდარი არ არის (ვ. თოფურია). მიუხედავად ამისა, შორისდებულთა ის ჯგუფები, რომლებიც სვანურში დიალექტების მიხედვით გამოიყოფა, საკმაო სისრულით ასახავს და გადმოგვცემს ამ ენაზე მეტყველთა ემოციურ პორტრეტს.

ჩოლურულ მეტყველებაში, მსგავსად სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა, შორისდებულის სემანტიკას მისი წარმოთქმის ინტონაცია განაპირობებს, რომელსაც თან ახლავს ემოციის შესაბამისი შესტიკვულაცია, რითაც მეტყველი სუბიექტის სათქმელი უფრო ექსპრესიული და გამომსახველობითი ხდება.

აღნიშნულ მეტყველებაში შორისდებულის სამივე ძირითადი ჯგუფი (*ექსპრესიული, იმპერატიული, ფიცილის ფორმულები ქვეგვუფებითურთ*) საკმაო მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი; ზოგიერთი მათგანი საერთოა არა მარტო სვანურის დანარჩენ დიალექტებთან, არამედ ქართულთანაც, ვინაიდან დასტურდება ქართულის გზით შემოსული ფორმებიც.

გამოიყოფა საკუთრივ ჩოლურულისათვის დამახასიათებელი შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ გაკვირვება-გაოცებას: **იშში** || **იშშირ** || **იშშირ** || **იშშიარ**; **იშტირ**, **იშტირიგიდი** || **იშტირიგიდირ** || **იშტირიგიდის**...

იშში, სგა მინჯარ მიშგუი ჯუმილ ი ეჩა ლეღლი მად მეღტენრო?! „სასწაული, მახლდა ჩემი ძმა და იმას რას დაველოდებოდი?!“

იშშირ, ქემერინ სერ აღმარე ლითანთახ ძინარუნლო ნე-ბოზდ?! „საოცარი, მეყოფა ამათი მსახურება დილიდან დაღამებამდე?!“

იმტირიგიდის, ქა მამ ლოხუტულს, ათხ'ერ ისკლემფულ „სა-სწაული, არ დავუძახე, ახლა რომ კითხულობს და იოცებს?!“ და სხვ.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული დიდა როგორც შორისდებული და მისი ფონეტიკური ვარიანტები

მეგრ. **დიდა**, რომლის ძირეული მნიშვნელობაა „დედა“, გამოიყენება როგორც შორისდებული „გაკვირვებისა“ (ქაჯაია, ქობალია): დიდა, მუს რე გებგონინი?! ზედმიწ. „დედა, რაა რომ გავიგონე?!“

ამ ფუძიდან არის ნაწარმოები -**ია** სუფიქსის დართვით ამავე შინაარსის გამომხატველი შორისდებული **დიდაია** (ქობალია): დიდაია! მუ რე ენა! – „დედა! რა არის ეს?“

დიდა-სგან დისიმილაციის შედეგად არის მიღებული **დიდუ** შორისდებული – წამოძახილი გაკვირვების, გაოცების, მწუხარების გამოსახატავად, იგივეა, რაც „დედა“! დიდუ! მუ ლატი უჭკომუნა, ვარა მუ ჯგირ ტარამი – „დედა! რა სიმინდი უჭამიათ, ან რა კარგ-ტაროიანი“ (ქაჯაია).

დიდუ-ს ფონეტიკური ვარიანტია **დითუ** „ვაი“, რომელიც დ-ს დაყრუებით არის მიღებული: დითუ, ალევა, გვერდ სახენწიფო ჯარი ხოლო ქომირენანია – „ვაი, ალე, ნახევარი სახელმწიფო ჯარი კიდევ გყავსო“ (ქაჯაია, ქობალია).

დიდა ფორმისაგან **დ**-ს დაყრუებით არის მიღებული **დითა**, რომელიც გამოხატავს: გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ს: დითა! საყვარელია, სქანამახელა დედიბის მუ სუფთა დუდი ნორღენია – „დედა! საყვარელო, შენი ხნის ბებერს რა სუფთა თავი გქონიაო; გ ა ნ ც ვ ი რ ე ბ ა ს: დითა! ეს მუს ორწყე ჩქიმი თოლეფი! – „დედა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები?“ წ უ ხ ი ლ ს: დითა,... მუ რე, ბლოლესგნი, დუდიგასოფალი! – „დედა,... რაა, რომ მიქნეს, თავგასატეხი!“ (ქაჯაია, ქობალია).

დითასგან არის მიღებული **ა**-ს დაკარგვის შედეგად **დით**! რომელიც „გაკვირვებას“ გამოხატავს: დით! დობლურე, ქომისხუნუ, ვე-

მადგინე, გიჩქედას! – „დედა! მოგვკდე, მირჩვენია, ვერ ავდგები, იცოდე!“ (ქაჯაია, ქობალია).

დიდასგან არის მიღებული ფუძისეული **დ-ს** დაკარგვით **დია** შორისდებული, რომელიც გამოხატავს: გაცეზებას, გაკვირვებას, შეშფოთებას. იგივეა, რაც **დედა!** დია, ხოლო თაქი ექო? – „დედა, კიდევ აქა ხარ?“ დია, პატონი, მუს მიწინთ – „დედა, ბატონო, რას მეტყვიო?“ დია, მისი რე ვორწყექინი? – „დედა, ვისაა რომ ვხედავ?“ (ქაჯაია, ქობალია). **დია** გვხვდება შესიტყვებებში, როგორც შორისდებული გაკვირვებისა: **დია ღორონთი!** „დედა ღმერთო!“ **დია შური!** „დედა სულო!“ (ქობალია) და აგრეთვე, სინანულისა, მწუხარებისა – **დია ჯიმაღურელი!** „დედა მმაკვდარი!“ (მმის სიკვდილივით მწარე).

დიდა შეიძლება იყოს რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი: **დიდაღურელი!** დედამკვდარი! **დიდაშმაყვილარი!** „დედის მკვლელი!“ – დანანების, წუხილის, სინანულის გამომხატველი შორისდებულება.

მეგრულში შორისდებულის მნიშვნელობით ხშირად **დიდა-**სთან ერთად **დედა** და **ნანა** ერთეულებიც გამოიყენება სხვადასხვა ფორმით. ქართულშიც აქტიურია **დედა** ამ თვალსაზრისით.

ვაჟა შენგელია

ყაბარდოული ფონემების ქართულად გადმოცემის შესახებ

ადიღური (ჩერქეზული) და ყაბარდოული (ყაბარდოულ-ჩერქეზული) ახლომონათესავე ენებია, კერძოდ – აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ჩერქეზული (ადიღური) ქვეჯგუფის წევრები. ფონოლოგიური აგებულების თვალსაზრისით მათ ბევრი სპეციფიკური ნიშანი აერთიანებს: ხმოვანთა სამწევრა სისტემა, სისინ-შიშინა სპირანტთა სამეულები, ლაბიალიზებული თანხმოვნები, შუაენისმიერი სპირანტები, ლატერალები... ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ყაბარდოულ ფონემათა მეტი წილის ტრანსლიტერაცია ქართულში იმავე წესებით ხორციელდებოდეს, როგორც ადიღურში (ამ წესების

შესახებ მსჯელობა წარმოდგენილი იყო 2014-2016 წლებში წაკითხულ მოხსენებებში). ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ყაზარდოულში ოთხი ისეთი ფონემა გამოიყოფა, რომლებიც ადილეურს არ გააჩნია; ესენია: კბილბაგისმიერი სპირანტები – მჟღერი **ვ** და მკვეთრი **ჟ**, ფარინგალური ხშულები – მკვეთრი **ყ** და მისი ლაბიალიზებული სახეობა **ყ'**.

ვ და **ყ** თანხმოვნების (ყაზარდოულ ანბანში – შესაბამისად **в** და **кь**) გადმოცემას ქართულში რაიმე დაბრკოლება არ ახლავს, რადგან მათი ფონეტიკურად იდენტური თანხმოვნები ქართულს მოეპოვება:

ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Теуваж	თიაუვაჟ-ი
Валодə	ვალოდა
Пакъə	ფაყა
Къет	ყიათ-ი
Къапльан	ყაფლან-ი
და სხვ.	

ყაზარდოული **ჟ** (ანბანში – **ჟI**) წარმოთქმის თვალსაზრისით მეტ სიახლოვეს ქართულ **ჰ**-სთან ამჟღავნებს, ამიტომ მისი გადმოღებაც სათანადოდ უნდა მოხდეს:

ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
ΦიIəჟI	ფოყაჰ-ი
ШумаჟIə	შუმაჰა
ЛыჟI	ტლიჰ-ი
და სხვ.	

ყაზარდოული **ყ'** (ანბანში – **кьუ**) ქართულად უნდა გადმოიცეს თანხმოვანთა კომპლექსით **ყვ**:

ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
КъуатIə	ყვატა
КъуакIუə	ყვაკვა
Шəნəтыкьუə	შებეთიყვა
და სხვ.	

ამგვარად, ქართულში ჩერქეზულ ენათა ფონემების ტრანსლიტერაციის წესები ძირითადად ერთნაირია, თუ არ მივიღებთ მხედ-

ველობაში იმ ფონემათა ქართულად გადმოცემას, რომლებითაც ეს ენები სხვაობენ.

იზაჩანტლაძე

კვლავ „ცოდნის“ სემანტიკური ნიუანსებისა და ფონემათშესატყვისობისათვის ქართველურ ენებში

(ემდგნება პროფესორ ილია ცერცვაძის დაბადების 100 წლისთავს)

სხვადასხვა დროს ცოდნის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებსა და მათს ძირეულ ფონოლოგიურ ვარიანტებს იბერიულ-კავკასიურ ენებში არაერთი მკვლევარი (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ტ. გუდავა, თ. გონიაშვილი, დ. მაჭავარიანი, ნ. ტრუბეცკოი, ა. ბოკარიოვი) შეხებია. ამ საკითხის შესწავლით საგანგებოდ დაინტერესდა პროფესორი **ილია ცერცვაძე** და კვლევის შედეგები სპეციალისტებს წარუდგინა მოხსენების სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1954 წლის 22 ოქტომბერს (შესაბამისი სტატია იხ. თსუ შრომებში – ტ. 63, თბილისი, 1956, გვ. 339-343). მან მსჯელობა დაიწყო სვანური **მახალ** („ცოდნა“) ლექსემით, გაიზიარა სპეციალურ ლიტერატურაში მანამდე წარმოდგენილი სემანტიკა (მა-ხ-ალ), ძირისეული -ხ-ფონემის დაკავშირების მცდელობა ქართული ნა-ხ-ვ-ა, ი-ხ-ილ-ა, შე-ხ-ედ-ა ფუძეების ძირთან და დაუმატა ის მასალა მთის კავკასიური (ხუნძური, ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური, ჭამალური) ენებიდან, რომლებიც ძირში **ხანს** შეიცავენ ქართველურ ენათა მსგავსად.

ილია ცერცვაძემ სპეციალურ ლიტერატურაში განხილული **ხ**-ძირის სემანტიკურ ნიუანსთა განვითარების („ნახვა, ცქერა, ყურება, ხედვა“ > „ცოდნა“) ანალოგიური მოვლენა შენიშნა -**წ**-ძირთან დაკავშირებითაც ხუნძურ, ბაგვალურ, ბოთლიხურ, ღოდობერიულ, ჭამალურ, კარატაულ, ტინდიურსა და ახვახურ ენებში და აქაც მსჯელობის ამოსავალი იყო სვანური ლი-**წ**-ედ („ცქერა, ყურება, ხედვა“). ჯერ კიდევ 1930 წ. მიუთითებდა ნიკოლოზ ტრუბეცკოი ანდიური **წ**-ინ, უბიხური **წგ** (წა), ადიღური **სა-ცა-წ**, რუთულური ა-**წგ**-წ, წახურული

ა-წა-ს („ცოდნა“) ფუძეთა ურთიერთმიმართების შესახებ (იხ. მისი Nordkaukasische Wortgleichungen, Wien).

მოგვიანებით (2000 წ.) „ცოდნის“ აღმნიშვნელ სვანურ **-ხ**- ძირს კვლავ შეეხო მერაბ ჩუხუა და იგი ქართული **ხილვა** და მეგრული **ხვილაფა** („ნახვა რაიმესი“), **ხილუა** („შენახვა, შემჩნევა“) ლექსემებს დაუკავშირა. მისი დასკვნა ასეთია:

საერთოქართველურ ფუძეენას ჰქონდა **-ხ**- ძირიანი ზმნური ფორმები, რომელთა სემანტიკაც „ხედვით“, „ხილვით“ შემოისახ-ღვრებოდა. **განსხვავებული მნიშვნელობები, რაც თანამედროვე ქართველურ ენა-კილოებში დასტურდება, ინოვაციას წარმოადგენს და გაჩენილია ქართველურ ენათა დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში** (გვ. 393, ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**). ქვეტექსტი ამ დასკვნისა გულისხმობს, ალბათ, იმას, რომ **-ხ**- ძირის შემცველ ფუძეებში „ცოდნის“ სემანტიკა თავდაპირველად არც გვექონია, რასაც, ვფიქრობთ, განაპირობებს სვანური მასალის უკმარისობა ყველა ზემოაღნიშნული მკვლევრის შრომებში.

ზემოსვანურსა და ლაშხურ დიალექტებში საკმაოდაა გავრცელებული სიტყვა **ხტილიმახალ**, რომელიც ლენტეხურში **ხტილმახალ** ფორმითაა წარმოდგენილი და აღნიშნავს როგორც „ცოდნას“, ისე „მიხვედრასაც“. ზემოსვანურში „მიხვედრის“ მნიშვნელობით გვხვდება, აგრეთვე, **ხტიმახტი** (შდრ. ბჟ. **ხტინაჰხი** – მიუხვედრელობა). გარდა ამისა, „ცოდნისა“ და „მიხვედრის“ აღსანიშნავად თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში იმავე **-ხ**- ძირის შემცველი მარტივი ფუძეებიც გამოიყენება: **ხტილ** (ბზ.), **ხტი** ^ა (ზსვ.), **ხტია** (ლშხ.), **ხტიჲ** (ლნტ.).

მეტად საინტერესოა ერთი იდიომატური გამოთქმა ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში – ესაა **ხტის ლუხტიე** („მიხვედრილი, საქმეში გარკვეული, სწორად განჭვრეტილი, გონს მოსული“ < „ცოდნას ხვედრილი“?). თავისთავად ცხადია, მარტივი ფუძე გაცილებით ძველია, ამიტომაც სწორედ ის გამოიყენება უძველეს გაქვავებულ გამოთქმაში და არა რომელიმე კომპოზიტური წარმონაქმნი!

„აღლოს, მიხვედრის“ მნიშვნელობით ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ დადასტურებულია მე-**ხვალ**-ამ-ა, რომელსაც ენაცვლება „ხვამ“ ძირით წარმოდგენილი მე-**ხვამ**-ილ-აფ-ა. იგივე ვითარებაა ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც“, სადაც ამ მხრივ განსა-

კუთრებით საინტერესოა ნეგატიური მიმღეობის ფორმათა სტრუქტურა: მე-უ-**ხვალ**-ამ-უ/უ-მე-უ-**ხვამ**-ილ-აფ-უ („მიუხვედრელი“).

სვანურ ენაში „ცოდნის“ აღმნიშვნელად **-ხალ**-ფუძე უფროა გავრცელებული, ვიდრე **-ხვილ**, ამასთანავე, ეს უკანასკნელი აუსლა-უტში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის: **-ლ** ან საერთოდ იკვეცება, ან **-ჟ** თუ **-ა** სონანტში გადადის, რაც, სვანური ფონოტაქტიკის მიხედვით შედარებით ადვილი ასახსნელია. მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული ფუძის პირველადი სახის აღდგენის საკითხი, მაგრამ ბალსზემოური **ლიხნლჟა** და ბალსქვემოურ-ლენტახური **ლიხნლ** გვაძლევს შესაძლებლობას, ფორმათა უწინარესობა-შემდგომადობის პროცესის განვითარება ამგვარად წარმოვადგინოთ:

***ლი-ხჟალ-ი/ე > *ლი-ხჟალ > ლი-ხნლჟ > ლი-ხნლ,**

მაშასადამე, „ცოდნის“ მნიშვნელობის გადმოცემ სვანურ ფუძეში ოდესღაც იგივე ვითარება უნდა გვექონოდა, რაც მეგრულში გვაქვს „აღლოს, მიხვედრის“ სემანტიკაში, მაგრამ სვანურში რატომ უნდა მომხდარიყო **ა/ი** ხმოვანთა მონაცვლეობა (შდრ. ზს./ლშხ. **ხჟილიმახალ**, ლნტ. **ხჟილმახალ** „ცოდნა, მიხვედრა“), ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის!

ანალოგიური სემანტიკის შემცველი **-ხჟალ**- ფუძე ჯერჯერობით ვერ დავადასტურეთ ქართულ ენაში. ვერ დავეთანხმებით პროფესორ ჰაინც ფენრიხს საერთოქართველურ დონეზე ***გალ**- არქეტიპის გამოყოფაში „ცოდნის“ მნიშვნელობით (იხ. H. Fähnrich, Das Sumerische und die Kartwelsprachen, Georgica, 4, Jena-Tbilissi, 1981: 97 და Kartwelischen etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston, 2007: 95). ჯერ ერთი, სვანურში **განგალ** „ცოდნას“ კი არ აღნიშნავს, არამედ – „ვეებერთელას“ და მეორეც, მის მიერ შესადარებლად დამოწმებული ქიზიყური **აგანგალობა** („საბავშვო თამაში“) ქართლურ დიალექტში „აგლიგუგლის“ სახითაა წარმოდგენილი.

ასე რომ, ვფიქრობთ, სვანურ-მეგრული ***ხჟალ** ფუძის დაკავშირება „აღლო-მიხვედრის“ სემანტიკასთან გაცილებით ნაკლებ სიმწიფეებს აწყდება, ვიდრე მასში ქართული ნა-**ხ**-ვა, ი-**ხ**-ილ-ა, შე-**ხ**-ედ-ა ზმნების ძირის გააზრება. უპირველესად ამ ძირთა სტრუქტურული მიმართების საკითხია მოსაგვარებელი.

**„ხევისურული საგა“ – „ლექსად გარდათქმის“
ხელოვნების საგანგებო ნიმუში**

1. მოხსენება ეხება თანამედროვე ქართველი პოეტის ბალათერ არაბულის 2016 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულს „ხევისურული საგა“ (რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ივანე ამირხანაშვილი); სახელდობრ, აღნიშნული კრებული განხილულია, როგორც საგანგებო პოეტური დისკურსის გამორჩეული ნიმუში.

2. ნატურალისტურ მარკერთა სიუხვით სპეციალურად აღსანიშნავია პოეტური კრებულის პირველი და უმთავრესი ციკლი „ხევისურეთს ამბად ნათქვამი“; ამ ციკლში წარმოდგენილი 21 ლექსი-ნარატივი, ფაქტობრივად, „ლექსად გარდათქმის“ ხელოვნების საგანგებო ნიმუშია.

3. მოხსენებაში გაანალიზებულია პოეტის ნარატივის ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიცაა: ენობრივი ინვენტარი და ნარატიული ხმა.

4. ჩვენი დაკვირვებით, „ხევისურული საგას“ პოეტურ დისკურსს საგანგებო მნიშვნელობას სძენს ნარატიული ხმა, რაც განსაზღვრავს კიდევ მის უნიკალურობას თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

**ხათური ინსტრუმენტალისის შესატყვისობებისათვის
ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში**

დიდი ხანია ხათური ენის სპეციალისტები მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) ბრუნვის ნიშნად, სხვა მარკერებთან ერთად, **-შუ** სუფიქსსაც გამოყოფენ (სოისალი, კამენჭუბერი, კოჭლამაზაშვილი...).

მოხსენებაში წარმოდგენილია ცდა, ამავე კონტექსტში იყოს განხილული სვანური -**შვ** // -**ვშ** ალომორფებიც, რომლებიც, განსხვავებით ქართულ-ზანურისაგან, სვანურში ერთადერთი ნიშანია მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) ბრუნვისა.

ამავდროულად, ყურადღებას მიიპყრობს დადესტნური ენებიდან ხვარშიული და რუთულური, სადაც, შესაბამისად, -**ზ** და -**ს** ნიშნებია დამოწმებული ინსტრუმენტალისის მაწარმოებლად. უფრო მეტი, ზემოთ დასახელებულ ენობრივ მონაცემებს ეხმიანება ბასკური ინსტრუმენტალისის -**ს** მარკერიც. ეს უკანასკნელი, პირენეის იბერიული ენის მოქმედებითი ბრუნვის -**შ** სუფიქსთან ერთად, ჩვენი დაკვირვებით, უკავშირდება ხათურ-სვანური ინსტრუმენტალისის სათანადო სუფიქსებს.

ყველა ზემოთ აღწერილი მონაცემი, ვფიქრობთ, პალეოკავკასიური ფუძეენიდან იღებს სათავეს.

ნ ი ნ ე ლ ი ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ზოგი ნასესხობის ფონეტიკური ცვლილებებით განპირობებული ომონიმის შესახებ

ქართულ ენაში ომონიმია ნასესხებ მასალასთან ერთად განაპირობებს ფონეტიკური ცვლილებები. ეს ეხება როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ ლექსიკას. ერთი წარმომავლობისა და ერთნაირი მნიშვნელობის ლექსემები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დროში განსხვავებული ენებიდან ნაირ-ნაირი ფონეტიკური სახით შემოდის და ამიტომ ჭირს იმის დადგენა, სიტყვის ცვლილება საკუთრივ ქართულ ნიადაგზე მოხდა თუ ეს განპირობებულია უცხოურის გავლენით. შესაძლებელია, რომ ომონიმის შემადგენელი სიტყვები (ერთი ან ორივე) ისტორიულად ხელმეორედ გადასხვაფერდნენ და სხვადასხვა ომონიმური წყვილის სახით მოგვევლინონ. არაა გამორიცხული ისიც, რომ დროთა განმავლობაში ზოგი ფონეტიკურად მსგავსი ომონიმური ცალისაგან ერთნაირი ცვლილებების გამოისობით ისევ ახალი წყვილი ჩამოყალიბდეს. მაგ.: 1. ძველი და საშუალო ქართუ-

ლი: **ზუმირი, ზმური, ზმირინი, ზმირნი, მური, ზმურნი** „ნელსაცხე-ბელი“, „გუნდრუკი“. შდრ. ბერძნ. **სმირნა** ან მური, ხის წებო, მირრა (მურტის სურნელოვანი ქვა).

2. ახალ ქართულში დადასტურებული **ზურმუხტი** [სპარ. ზუმურრუდ] „ძვირფასი ქვა“ კი ძველ და საშუალო ქართულში გვხვდება **ზმური, ზუმირის** სახით.

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვების ფონეტიკური ვარიანტები ისტორიულად შემდეგ ომონიმურ წყვილებს გვამღვს. ძვ. და საშ. ქართული I. **ზუმირი**, „მური სუნნელი“ – საბა; საშ. ქართ. II. **ზუმირი** „ზურმუხტი“. საშ. ქართ. I. **ზმური** იხ. I. ზუმირი; II. **ზმური** იხ. II. ზუმირი.

ზემოდასახელებული მნიშვნელობის **ზმირინი, ზმირნი, მური** კი სხვადასხვა ომონიმურ წყვილში ერთიანდება.

საშ. ქართული I. **ზმირნი** „გუნდრუკი“ – საბა; II. **ზმირნი** „თევზი“ – საბა.

საშ. და ახ. ქართ. I. **ზმირინი** იხ. **ზმირნი**; II. ძვ. ქართ. **ზმირინი** „სმორენა // სმორენე“ გველთევზისებრთა ოჯახის, ერთ-ერთი მტაცებელი თევზის სახელი (ი. ქერქაძე); III. საშ. ქართ. **ზმირინი** (ტოპონიმი). ვფიქრობთ, **ზმირინი** < **სმირნა** ქალაქი სმირნის ყურეში, იონიაში (ბერძნული, თ. გიორგობიანი).

ძვ. ქართ. I. **მური** (ბერძნ.) იხ. I. ზუმირი, ზმური, ზმირინი, ზმირნი; საშ.ქართ. II. **მური** „მური სომხურია, კვამლისაგან გაშავებული სჰქვია, ქართულად ფ ა რ ი ლ ს უწოდენ“ – საბა; III. **მური** „ახლად გამოსული აბრემუმის ჭია“ – ქეგლი. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით დასტურდება ზემოიძერულში, ქიზიყურში. შდრ. სპ. **მურ** „ჭიანჭველა“.

ასევე სხვადასხვა ომონიმურ წყვილებში ერთიანდებიან ერთი მნიშვნელობის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები:

1. ძველი და საშუალო ქართული: მნიშვნელობით **ბორია, ბორა, ბორიო, ბორეა, ბორესი** „ჩრდილოეთის ცივი ქარი“. ამათგან ომონიმურ ცალკეად დასტურდება **ბორია, ბორიო, ბორა**.

2. **ზავრუკი (ბორაჩე, ბორა, ბარაკია, ბარაკი)** მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იჭმარობენ ოქროსა დასადნობელად Z. ტბა რამეა, რომელსა ხაშურივით გამოჰყრის, ოქრომჭედელნი იჭმარებენ A. – საბა; **ბორა, ბორაკი, ბორია** (არაბ., დ. ჩუბ.).

ძვ. და ახ. ქართ.: I. **ბორია** „ჩრდილოეთის ქარი“; საშ. ქართ. II. **ბორია** „ოქრომჭედელნი რომე ბავრუკსა იჯმარებენ, ბორია იმას ჰქუიან“ – საბა.

საშ. და ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბორიო** იხ. ბორია. II. **ბორიო** 1. „ოქრომჭედლის ხელსაწყო: გრძელი მილია, რომლითაც ჭრავის ცეცხლს უბერავენ და ოქროს ან ვერცხლს ახურებენ“ (ქიზ.), 2. **ბორიო** „ბუკი, საყვირი“ (იმერხ.).

ბორიო „ცივი ქარი“ და **ბორიო** „ბუკი, საყვირი“ ერთი წარმომავლობის სიტყვებადაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კაკიტაძე, ნ. გურგენიძე).

ახ. ქართ. I. **ბორა** იხ. I. ბორია; საშ. და ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბორა** (ფრინ.) ძერას (ჰ)გავს, უდიდეა – საბა, ნ. ჩუბ. **ბორა** გამოიყოფა ასევე ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტიში **ბორა-ბორა** „ერთგვარი თამაშობა“.

საშ. და ახ. ქართ. III. **ბორა** „დიდი ბუზი და მკბენარი, ცხენთ ძალიანა ჰკბენენ და აწუხებენ ესენი“ (თ. ბაგრატი.).

II. **ბორა** მცენარის ფოთოლი, რომელსაც ფორს ქვეშ უფენენ. შდრ. **ბუარა, ბუერა**.

III. **ბორა** და ბორანი მაწონდასხმული საჭმელი – ნ. ჩუბ. აჭარ. **ბორა** < (თურქ.) **ბორანი**.

V. **ბორა** დიალ. (იმერული, მოხეური, გარეკახური) **ბორა** მსხვილი, დიდი. *ბორა ბატკანი; ბორა კარტოხაი* (მოხ. ქავთ.).

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

ვარგან- // არღან- // ორგან- // ორღან- // ორღანო **სიტყვების ურთიერთმიმართებისათვის**

ქართულ ენციკლოპედიაში დასტურდება სიტყვა **ვარგანი**, რომელიც წარმოშობით იგივე უნდა იყოს, რაც **ორღანო**: „**ვარგანი** (ლათ. organum, ბერძნ. órganon იარაღი, მუსიკალური საკრავი) ენაკიანი თვითმქლერი მუსიკალური საკრავი. წარმოადგენს ხის, ძელის ან ლითონის ფირფიტას, ანდა ლითონის რკალს, რომელსაც შუაში

ენაკი აქვს. დაკვერისას ვარგანს კბილებზე მიიბჯენენ, ენაკს გამოსწევენ თითით, ძაფით ან ჯოხით. პირი მოძრავი რეზონატორის როლს ასრულებს. პირის ღრუს ფორმისა და მოცულობის ცვლა წარმოქმნის მელოდიის შესრულებისათვის აუცილებელ ობერტონული რიგის ტონებს. რადგანაც ვარგანს ჩუმი ჟღერადობა და მცირე კვარტული ან კვინტური დიაპაზონი აქვს, მისი რეპერტუარიც მოკლე საცეკვაო მელოდიებითა და ტრადიციული მისამღერებით ამოიწურება. ვარგანი გავრცელებულია შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ხალხებში. XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში ევროპაში პოპულარული იყო გაუმჯობესებული ვარგანი – აურა“ (ქსე IV, 1979).

შდრ.: „**ორღანო** (150,4 ფსალმ.) საკრავია საბერვლიანი Z. საკრავია საბერვლითა [ქართულად ნესტემრავალი Aa]... 2. ჭურჭელი(ა) იარაღი ZABCD“ (სულხან-საბა I, 1991).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით:

„**ორღანო** (ორღანოსი) ძვ. 1. იხ. ორგანო. 2. იხ. ორგანი².

„**ორგან-ი**² [ბერძნ. organon-იდან იარაღი] კლავიშებიანი დიდი და რთული მუსიკალური ინსტრუმენტი, აქვს მილების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერვლებით იჭირხნება“ (ქეგელი VI, 1960).

მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვკითხულობთ:

„**ორღან-ი** (უმართებ.) იხ. ორგანი. **ორგან-ი** [< ბერძნ. organon მუსიკალური საკრავი] – კლავიშებიანი დიდი და რთული სასულე მუსიკალური საკრავი; აქვს მილების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერვლით იჭირხნება“ (მ. ჭაბაშვილი 1989).

„**ორღანო** 1. ზოგადად მუსიკალური ინსტრუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. 2. საბერვლიანი საკრავი“ (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2011).

„**ორღანი** (ლათ. იარაღი, ხელსაწყო) კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი, შედგება ერთ კორპუსში მოთავსებული სხვადასხვა ზომის ხისა და ლითონის მილებისა და პნევმატური სისტემისაგან. ხმოვანების სიმღერით და ტემბრული სიმდიდრით ორღანი სიმფონიურ ორკესტრს უტოლდება (მოკლე მუსიკალური ლექსიკონი, 1999).

აქვე შეიძლება გავიხსენოთ **არღანი**:

„**არღანი**-ი [რუს. орган< ბერძნ. organon] მექანიკური სამუსიკო საკრავი, მხარზე გადასაკიდებელი; უკრავდნენ ტარის ტრიალით...

ფიგურ. ახლა კი, როცა არღანი დარდობს, არ შემიძლია გავექცე ფიქრებს (მ. ფოცხ. თარგმ.)...“ (ქეგლი I, 2008).

„**არღანი** მექანიკური საკრავი, გადასატანი უკლავიშო ორღანის ნაირსახეობა, შეიქმნა ევროპაში XVIII საუკუნეში და საქართველოში გავრცელდა XIX ს. დასაწყისიდან, უმთავრესად ქალაქებში...“ (მოკლე მუსიკალური ლექსიკონი, 1999).

ეს სიტყვები საერთო წარმოშობისა ჩანს, მაგრამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა კულტურიდან სხვადასხვა მნიშვნელობით (განსხვავებული ინსტრუმენტების აღსანიშნავად) შემოდის ქართულ ყოფაში და, შესაბამისად, მკვიდრდება კიდევ ქართულში.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

რა უნდა ყოფილიყო პურის უძველესი ქართული სახელი

(საკითხის დასმის წესით)

1. ქართულში სახელი **პური** მიჩნეულია ნასესხობად, რაც გასაზიარებელია. მიუხედავად ცალკეული ცდისა, ქართველურ ენებში არ გამოვლენილა დამაჯერებელი შესატყვისობები. ამასთან, რაკი საქართველო კულტურული ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთ სამშობლოდაა აღიარებული, სამართლიანად ჩნდება აზრი, რომ უძველეს ქართველურ ლექსიკურ ფონდში უნდა არსებულიყო უმთავრესი და უძველესი საკვები პროდუქტის – **პურის** – აღმნიშვნელი საერთოქართველური ლექსიკური ძირი.

2. ასეთად ვვარაუდობთ ქართული ხორბლის უძველესი, ენდემური სახეობის დღემდე შემორჩენილ სახელს, ქართულ-ლაზურ **მახა/მოხა**-ს. ის, რომ მცენარის სახელი შეიძლება ერქვას მისგან მომზადებულ საკვებსაც, ექვს არ უნდა იწვევდეს. შდრ. **მალი** ეწოდება არა მხოლოდ საკუთრივ მცენარეს, არამედ მისგან მომზადებულ შეჭამანდაც, ასევე, გასაგებია სემანტიკური მიმართება: „მახა ყანაა, ასლს ჰგავს“ (საბა).

კომპიუტერული ნეოლოგიზმების ორთოგრაფიისათვის თანამედროვე ქართულში

ნეოლოგიზმების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული აქამდე არნახულ ნიშნულს აღწევს. ამის მიზეზი დიდწილად მსოფლიოში მიმდინარე ის ტექნოლოგიური აფეთქებაა, რომლის შედეგადაც ცნობიერებასა და, ბუნებრივია, შემდგომ – უკვე ენაშიც უამრავი ახალი ცნება და ამ ცნების ამსახველი სიტყვა თუ შესიტყვება მკვიდრდება. ამ საერთო მოვლენას, რასაკვირველია, ვერ გამოაკლდებოდა ქართული ენა, რომელსაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში რეკორდული რაოდენობის ახალი სიტყვა შეემატა.

ნეოლოგიზმების ერთ-ერთ მთავარ ბირთვს **კომპიუტერული** (ძირითადად, **ინტერნეტთან** დაკავშირებული) **ტერმინოლოგია** ქმნის. ზეპირ, სასაუბრო მეტყველებაში, ასევე, წერილობით ძეგლებშიც, ხშირად შეხვედებით ფორმებს: **მონიტორი, პროცესორი, მაუსი, კლავიატურა/საკრი, ქსეროქსი/ასლგადამღები, პრინტერი, სკანერი/ფოტოპირგადამღები, ფეისბუქი/ფეისბუკი, ტვიტერი/თვითერი, ინსტაგრამი/ინსთაგრამი, ინზოქსი, მესიჯი, იაჰუ; გუგლი, დაფუგლე, დაფუგლე, დაფუგლა... პოსტი, დაპოსტვა, ვპოსტავ, პოსტავს... თაგი/თეგი, დათაგვა, ვთაგავ, თაგავ... ლინკი/ზმული, დალინკვა, ვლინკავ... დაშეარება (გაზიარება), ვაშეარებ (ვაზიარებ), აშეარებ (აზიარებ), დავაშეარე (გავაზიარე)... დაკომენტარება, ვაკომენტარებ, დააკომენტარა... დალაიქება/დალაიკება, ვალაიქებ/ვალაიკებ, დავალაიქე/დავალაიკე... დაბლოკვა, ბლოკავს, დავბლოკე და მრავალი სხვა...**

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ფორმებს ორი პრობლემა უკავშირდება:

1. რომელი უცხოური ფორმა დამკვიდრდეს ტერმინად და რომლისთვის შეიქმნას შესაბამისი ქართული ეკვივალენტი;
2. ორთოგრაფიული ხასიათის პრობლემა, რომელიც ხშირად წმინდა ფონეტიკურ მოვლენებს (ძირითადად, ყრუ თანხმოვნების გადმოცემას) ეხება;

მიუხედავად უკვე დადგენილი უნივერსალური და ზოგადი წესებისა, თითოეული ამ ფორმის სალიტერატურო ნორმად მიღებისა თუ ორთოგრაფიის საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს.